

თბილისის ღია სასწავლო უნივერსიტეტი



აღდგენითი მართლმსაჯულება და მისი გავლენა დამნაშავეს რესოციალიზაცია  
რეაბილიტაციაზე

წარმოდგენილია მაგისტრის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად

ნათია რამინაშვილი

თბილისი, 0156, საქართველო

## სარჩევი

|  |    |
|--|----|
| რეზიუმე.....   | 3  |
| Resu me.....   | 4  |
| შესავალი.....  | 5  |
| თავი 1.....  | 8  |
| აღდგენითი მართლმსაჯულების განვითარების ისტორია და მისი მიზნები .....                                   | 8  |
| § 1 აღდგენითი მართლმსაჯულების ელემენტები სისხლის სამართლის პროცესის სხვა და სხვა ისტორიულ ტიპებში..... | 8  |
| § 2 აღდგენითი მართლმსაჯულების ცალკეული ელემენტები ქართულ მართლმსაჯულებაში .....                        | 15 |
| თავი 2.....  | 22 |
| აღდგენითი მართლმსაჯულების მიზნები.....   | 22 |
| § 1 ბრალდებულის რესოციალიზაცია /რეაბილიტაცია .....   | 22 |
| § 2 დაზარალებულისთვის მიყენებული ზიანის ანაზღაურება - როგორც აღდგენითი მართლმსაჯულების მიზანი.....     | 25 |
| თავი 3 . აღდგენითი მართლმსაჯულების შედეგები და მისი პერსპექტივები საქართველოში..                       | 28 |
| § 1 სისხლისსამართლებრივი დევნის ალტერნატიული ფორმების გამოყენები პროცედურა.                            | 28 |
| §2. განრიდების და მედიაციის პრინციპები.....  | 45 |
| თავი 4. აღდგენითი მართლმსაჯულების ფორმები .....  | 50 |
| საზღვარგარეთის ქვეყნებში.....  | 50 |
| §1. აღდგენითი მართლმსაჯულება აშშ - ში.....   | 50 |
| §2. აღდგენითი მართლმსაჯულება გერმანიაში.....   | 53 |
| §4. აღდგენითი მართლმსაჯულება დიდ ბრიტანეთში.....   | 58 |

|                               |    |
|-------------------------------|----|
| დასკვნა.....                  | 61 |
| დანართი N1 .....              | 64 |
| დანართი N2 .....              | 65 |
| გამოყენებული ლიტერატურა ..... | 66 |

## რეზიუმე

სამაგისტრო ნაშრომი ეძღვნება „აღდგენით მართლმსაჯულებას და მის გავლენას დამნაშავეს რესოციალიზაცია - რეაბილიტაციაზე“. ნაშრომში გაანალიზებულია საკითხები, რომლებიც დღევანდელ სისხლის სამართლის პროცესში მეტად აქტუალურია - აღდგენითი მართლმსაჯულების ჭრილში, განრიდებისა და მედიაციის მიზნები და ამოცანები. ნაშრომის ძირითად მიზანს წარმოადგენს აღნიშნული ინსტიტუტის შედეგიანობის განსაზღვრა, პრობლემების გაანალიზება და მისი გავლენა როგორც დამნაშავეზე, ასევე დაზარალებულზე.

ნაშრომში განხილულია რესოციალიზაციის ზოგადი განმარტება, აღდგენითი მართლმსაჯულების ისტორიის განვითარება, რადგან წარმოდგენა შეგვექმნას თუ საიდან იღებს სათავეს ეს ინსტიტუტი. განრიდებისა და მედიაციის მიზნები და ამოცანები, პრინციპები და სუბიექტები, პროგრამაში მონაწილეთა როლები და მათზე დაკისრებული მოვალეობები, როგორც არასრულწლოვნებში, ასევე სრულწლოვან პირებში, ასევე განხილულია აღდგენითი მართლმსაჯულება საზღვარდგარეთის ქვეყნებში.

სამაგისტრო ნაშრომი შედგება შესავლის, ოთხი თავისა და ცხრა ქვეთავისა და დასკვნისგან. ნაშრომს თან ერთვის გამოყენებული ლიტერატურის ნუსხა და დანართების სახით ინფორმაცია, სადაც მოცემულია სტატისტიკური ინფორმაცია.

## Resume

Master's thesis on the theme « Restorative justice and its impact on resocialization - rehabilitation of the offender»The paper analyses the problems that are most relevant in the current criminal procedure- The goals and objectives of diversion and mediation from the point of view of restorative justice. The main purpose of the work is to determine the impact of the activities of the above-mentioned institution, analyse the problems and their impact on both the perpetrator and the victims.

The article discusses the general definition of resocialization as an event, a historical development of restorative justice, to have a sense of where this institution comes from. Mediation and diversion objectives, principles and entities, the roles of the participants in the programme and the responsibilities entrusted to them, both minors and fully-fledged. Restorative justice in foreign countries is also discussed.

The master's thesis consists of an introduction, four chapters and nine subsections and a conclusion. Annexed to the article is a list of the literature used and information in the form of annexes containing statistical information.

## შესავალი

**თემის აქტუალურობა.** ნაშრომი ეძღვნება თანამედროვე, ლიბერალური სისხლის სამართალწარმოებს ისეთ ინსტიტუტს, რომლის საშუალებითაც „დამნაშავის დასჯასა“ და „შურისძიებაზე“ ორიენტირებული სისხლის სამართლის პოლიტიკა „აღდგენითი მართლმსაჯულება და მისი გავლენა დამნაშავის რესოციალიზაცია რეაბილიტაციაზე.“ აღდგენითი მართლმსაჯულების ჭრილში განხილულია განრიდებისა და მედიაციის პროგრამა, მასთან თან მდევნი პრობლემებით სისხლის სამართლის პროცესში, რომელიც სისხლისსამართლებრივი დევნის ალტერნატიულ მექანიზმს წარმოადგენს.

განრიდების და მედიაციის პროგრამა ვითარდება მთელი მსოფლიოს მასშტაბით, მათ შორის საქართველოშიც. მე - 20 საუკუნის 70 - იან წლებში წარმოიშვა დავის გადაწყვეტის ტრადიციული იურიდიული მიდგომისგან განსხვავებული ფორმა, რომელსაც დამნაშავესა და დაზარალებულს შორის მედიაციას უწოდებენ.

განრიდებისა და მედიაციის პროგრამის აღმოცენებამდე სისხლის სამართლის სისტემის ფარგლებში ძალიან ბევრი ადამიანი ხვდებოდა, როგორც სრულწლოვანი, ასევე არასრულწლოვანი პირები, მათ მიმართ გამოიყენებოდა საპატიმრო ზომები და სასჯელები, რადგან არ არსებობდა საშუალება, რომელიც სისხლისსამართლებრივი დევნისა და პატიმრობის ალტერნატივას წარმოადგენდა. არ არსებობდა ისეთი პოლიტიკა, რომელიც დამნაშავის რესოციალიზაციას შეუწყობდა ხელს, ყოველივე ეს კი ზრდიდა რეციდივის მაჩვენებელს.

განრიდებისა და მედიაცია ეყრდნობა აღდგენითი მართლმსაჯულების კონცეფციას, რომელიც ორიენტირებულია როგორც დაზარალებულის, ასევე დამნაშავეს ინტერესების გათვალისწინებაზე, მათ შერიგებაზე. პროგრამა მიმართულია დანაშაულის ჩამდენი პირის მართლშეგნების ამაღლებისკენ და ხელს უწყობს მის რესოციალიზაციას - რეაბილიტაციას.

ნაშრომში განხილულია პრობლემა, რომელიც საკმაოდ აქტუალურია - მედიაცია სრულწლოვან პირებში. როგორც ვიცით სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის მიხედვით მედიაცია გამოიყენება მხოლოდ არასრულწლოვან დამნაშავეებზე, მაგრამ სრულწლოვანი პირების მედიაციის შესახებ კანონმდებლობაში არაფერია ნათქვამი. საინტერესოა, რატომ არ გამოიყენება მედიაცია სრულწლოვან პირებში, მაშინ როდესაც ეს ინსტიტუტი ხელს შეუწყობდა ისეთი პრობლემების მოგვარებას, როგორცაა მაგალითად, გადატვირთული სასამართლოები. მედიაციის ინსტიტუტის სრულწლოვან პირებში გამოყენების შემთხვევაში სისხლისსამართლებრივი დავის მოგვარება შესაძლებელი იქნება უფრო ნაკლები დროის ვადაში, ვიდრე ეს ხდება სასამართლოს დროს მედიაცია სრულწლოვან პირებში დადებითად იმოქმედებს როდესაც, დამნაშავეზე ცდილობას შეურიგდეს დაზარალებულს და აუნაზღაუროს მიყენებული ზიანი დიდწილად. რაც მთავარია, მედიაციის პოლიტიკა ხელს შეუწყობს მის რესოციალიზაციას, დანაშაულის გაანალიზებას და ახალი დანაშაულის თავიდან აცილებას. ასევე ძალიან მნიშვნელოვანია მედიაცია სრულწლოვან პირებში დაზარალებულის ინტერესების დასაცავად და დანაშაულებრივი ქმედების შედეგად მიყენებული ზიანის ასანაზღაურებლად. მედიაციაში მონაწილეობის მიღების შემთხვევაში დაზარალებული შეძლებს იმ მორალური ბარიერების და პრობლემების გადალახვას, რაც მას გაუჩნდა დანაშაულებრივი ქმედების შედეგად.

**კვლევის ობიექტს** წარმოადგენს სისხლის სამართლის პროცესში აღდგენითი მართლმსაჯულების პოლიტიკის, განრიდებისა და მედიაციის პროგრამების განხორციელების მიზნები, ამოცანები და შედეგები.

**კვლევის მიზანია** განრიდებისა და მედიაციის პროგრამებთან დაკავშირებულ საკანონმდებლო მექანიზმებისა და არსებული პრაქტიკის გაანალიზება, პრობლემებისა და ნაკლოვანებების წარმოჩენა, რადგან მივიდეთ იმ დასკვნამდე, არის თუ არა შედეგიანი არსებული პოლიტიკის დანერგვა საქართველოში.

**კვლევის თეორიულ საფუძვლებს და ინფორმაციულ ბაზას წარმოადგენს** აღდგენით მართლმსაჯულებასთან და რესოციალიზაცია - რეაბილიტაციასთან დაკავშირებით ქართული და უცხოენოვანი ლიტერატურა, საქართველოს და საზღვარგარეთის კანონმდებლობა და არსებული სტატისტიკა.

**ნაშრომის მოცულობა და სტრუქტურა.** ნაშრომი შედგება შესავლის, ოთხი თავისა და ცხრა ქვეთავისა და დასკვნისგან. მას ერთვის გამოყენებული ლიტერატურის დასახელება ორი დანართი.



## თავი 1

### აღდგენითი მართლმსაჯულების განვითარების ისტორია და მისი მიზნები

#### § 1 აღდგენითი მართლმსაჯულების ელემენტები სისხლის სამართლის პროცესის სხვა და სხვა ისტორიულ ტიპებში

თუ „აღდგენითი მართლმსაჯულების“ კონცეფციას დავაკვირდებით დავინახავთ, რომ მის საფუძველს საზოგადოების განვითარების ყველა ეტაპისთვის დამახასიათებელი „დავის“, „ჩხუბის“, „უსიამოვნების“ გადაწყვეტის და მხარეების მორიგების/შერიგების წესები წარმოადგენს. დამაბული სოციალური ურთიერთობების მოგვარების ეს ტრადიცია „სამართალმა“ მრავალი საუკუნის წინ „შეთვისა“ და ის ისტორიულად ხანგრძლივი პერიოდის განმავლობაში წარმოადგენდა სამართლებრივ სივრცეში „გადატანილი“ დავების გადაწყვეტის ერთადერთ მამოძრავებელ ძალას.

ჯერ კიდევ მაშინ, როდესაც სახელმწიფოსა და შესაბამისად სამართლი არ არსებობდა და მოგვიანებითაც, მათი წარმოშობისა და განვითარების ადრეულ სტადიაზე, არანაირი დავა საჯარო ინტერესის გამომხატველად არ მიიჩნეოდა (ბრალდებითი პროცესი) . ყველა სადაო საკითხი, როლებიც თავდაპირველად გვარში, თემში-უხუცესებისა და ბელადების, სასამართლო სისტემის ჩამოყალიბების შემდგომ კი მოსამართლის წინაშე ირჩეოდა და წყდებოდა, იწყებოდა იმ ადამიანის ინიციატივით- ვინც თავს მიიჩნევდა დაზარალებულად და მისივე სურვილის მიხედვით მთავრდებოდა ან მორიგებით (ზიანის ანაზღაურების სანაცვლოდ) ან შერიგებით (პატიებით) ან ზიანის მიმყენებლის დასჯით- თუ ამ უკანასკნელის

საკუთარ უდანაშაულობის დამტკიცებაში ზებუნებრივი ძალები (ფიცით, ცეცხლით, წამებით, შერკინებით გამცდა) ან მოწმეები არ დაეხმარებოდნენ. სასჯელის ზომას და ფორმას ასევე დაზარალებული განსაზღვრავდა.

იმ პერიოდის საზოგადოებაში, მხარეებს შორის არსებული დავის გადაწყვეტის ეს ხერხი ემსახურებოდა ერთის მხრივ დამაზიანებელი ქცევით დაზარალებულისთვის მიყენებული ზიანის გონივრულ, ყველა მხარისთვის მისაღებ ანაზღაურებას, მეორეს მხრივ კი დამზიანებელს, მისი ოჯახის წევრებს, ნათესავებს იცავდა სამაგიეროს მიზლისა და შურისძიებისაგან, რაც შემდგომში ახალ ძალადობას წარმოშობდა. „სამართლიანობის აღდგენის“ აღნიშნული პრაქტიკა დამახასიათებელი იყო ყველა იმდროინდელი კულტურებს, ერებისა და ქვეყნებისთვის.

„კომპენსაცია, როგორც დაზარალებულის მიერ „არაძალადობრივი შურისძიების“ განხორციელების აქტი, უფრო ინსტიტუციური გახდა, როდესაც დასავლურ საზოგადოებაში მეტად ცენტრალიზებული ძალაუფლების სტრუქტურა ჩამოყალიბდა. კომპენსაციის სისტემა იზრდებოდა და დამზარალებელს, დაზარალებულის კომპენსირებასთან ერთად, საზოგადოებაში საკუთარი უსაფრთხოების უზრუნველყოფის სანაცვლოდ ფეოდალისათვის, ლორდისა ან მეფისათვის გარკვეული თანხის გადახდა ეკისრებოდა. მე-12 საუკუნისთვის, ჯარიმების სისტემის გაფართოებასთან ერთად, ადგილობრივმა ხელისუფლებამ საკუთარ ხელში აიღო და განსაზღვრა მართლმსაჯულების პროცესი. ეს სისტემა უფლებამოსილ მმართველებს აღჭურავდა არა მხოლოდ დამატებითი ფინანსური რესურსებით, არამედ მეტი ძალაუფლებით. მოგვიანებით ძალაუფლების მიზლის საკითხზე განსაკუთრებით გამახვილდა ყურადღება, რაც ემსახურებოდა მეფის ძალაუფლების გაძლიერებას. მას შემდეგ სისხლის სამართლის მართლმსაჯულების სტრუქტურა თუ პროცედურები

ორიენტირებული იყო დამნაშავეზე. დაზარალებულისთვის ზიანის ანაზღაურებას კი პარალელური სისტემა - სამოქალაქო მართლმსაჯულება უზრუნველყოფდა.<sup>1</sup>

„დამნაშავის დასჯაზე“ ორიენტირებული სისტემის (პროცესის ინკვიზიციური ტიპი) პრიორიტეტულობამ, დროთა განმავლობაში აბსოლუტური ხასიათი მიიღო. იქცა რა მხოლოდ ინფორმაციის მიღების წყაროდ, რომელიც პროცესზე ვერანაირ გავლენას ვერ ახდენდა, დაზარალებული და მისი „ინტერესი“ სულად განიდევენ პროცესიდან. ინკვიზიციური მართლმსაჯულების მძიმე ტვირთი, ბრალდებულსა და უგულვებელყოფილ დაზარალებულს აიძუებდათ „ერთმანეთთან მისასვლელი“ გზები მოეძებნათ და არაფორმალური პროცესებით მიეღოთ ორივე მხარისთვის მეტ-ნაკლებად მისაღები შედეგი. XVII-XVIII საუკუნეებამდე (ან უფრო გვიანაც კი), ევროპულ თუ სხვა სახელმწიფოებში რესტიტუციისა და კომპენსაციის გზით არამართლზომიერი ქცევით განცდილი ზიანის ანაზღაურება რეგულარულად მიღებულ პრაქტიკას წარმოადგენდა ისეთ მძიმე დანაშაულზეც კი, როგორც მკვლელობა.<sup>2</sup>

შერული და შეჯიბრებითი პროცესის განვითარებამ ბრალდებულს და დაზარალებულს კვლავ დაუბრუნა პროცესის მონაწილე სუბიექტების აქტიური სტატუსი, აღჭურვა და დატვირთა ისინი გარკვეული უფლებებით და ვალდებულებებით, თუმცა სისხლის სამართლის პოლიტიკაში „საჯარო ინტერესი“ მას შემდეგ მუდამ პრიორიტეტული იყო.

შეუწყნარებლობა, „მკაცრი ხელი“ და „ნულოვანი ტოლერანტობა“ გასული საუკუნის 70-იან წლებამდე მიიჩნეოდა საზოგადოებრივი წესრიგის დაცვისა და საზოგადოებრივი უსაფრთხოების შენარჩუნების მთავარ გარანტიად, რომელიც

---

<sup>1</sup> ი. ერცენი, აღდგენითი მართლმსაჯულების სახელმძღვანელო, 2020წ, გვ. 14.

<sup>2</sup> ი. ერცენი, აღდგენითი მართლმსაჯულების სახელმძღვანელო, 2020წ, გვ.15.

ყველას აიძულებდა მაღალი სასჯელის შიშით „მოეთოკა“ დანაშაულის ჩადენის სურვილი.

მეორე მსოფლიო ომის დასრულების შემდეგ, საერთაშორისო საზოგადოებამ გააცნობიერა, „რამდენად სისუსტი და დაუცველია ადამიანი ტანჯვის, წამებისა და სიკვდილის პირისპირ და იმავდროულად, რამდენად უსაზღვროა მისი შესაძლებლობები ჩაგროს და აწამოს სხვები“<sup>3</sup>, აღნიშნულმა საფუძველი ჩაუყარა ისეთ ფართო საერთაშორისო შეთანხმებებს, რომელთა გავლენაც დღეს განუსაზღვრელად დიდია და ყველა დემოკრატიული ქვეყნის კანონმდებლობაში უპირატეს იურიდიულ ძალას ატარებენ<sup>4</sup>.

ადამიანის უფლებების გაბატონებამ „საჯარო“ ინტერესზე ნელა, მაგრამ მაინც მოახდინა გავლენა მკაცრ და მხოლოდ დამნაშავეს დასჯაზე ორიენტირებულ სისხლის სამართლის პოლიტიკაზე და „აიძულა ხელისუფლებები“ „დანაშაულთან ომის მოდელიდან, მასთან თანაარსებობის მოდელზე“<sup>5</sup> გადასულიყვნენ.

აღნიშნული მიდგომა სისხლის სამართალწარმოებაში ახალი, რესოციალიზაციასა და რეაბილიტაციაზე ორიენტირებული ინსტიტუტების შემოღებას მოითხოვდა, რაც დანაშაულის ჩამდენს საშუალებს მისცემს სახელმწიფოსგან უფლებამოსილი პირებს უშულო დახმარებით მოახდინოს საკუთარი ღირებულებათა სისტემის კორექცია, უარი თქვას დელიქვანტურ ქცევაზე და საზოგადოებს არა „სასჯელმოხდილი“ არამედ რეალურად „გამოსწორებული“, მომავალსა და წარმატებაზე ორიენტირებული დაუბრუნდეს.

მაგრამ რამდენად შეეგუებოდა და მოიწონებდა საუკუნეების მანძილზე დამნაშავესადმი არატოლერანტულად განწყობილი საზოგადოება ახალ სისტემას? რა

---

<sup>3</sup> Priscilla Alderson “Health and children’s rights” ; Handbook of Children's Rights: Global and Multidisciplinary Perspectives ;London & New York: pp 203.

<sup>4</sup>

<sup>5</sup> Pepinsky H. Quinney R. /Criminology as Peacemaking – Bloomington : Indiana University Press, 1991. P.43

უნდა ყოფილიყო საპირწონე იმისა, რომ სისხლის სამართლის პოლიტიკის ლიბერალიზაციას, დამნაშავესადმი ლოიალურობას სამართლიანობისა და კანონიერების რწმენა არ შეერყია? რა თქმა უნდა აქ სახელმწიფოს ანგარიში უნდა გაეწია დაზარალებულისთვის, დანაშაულის უშუალო მსხვერპლისთვის და მისი ინტერესი- მიღებული ზიანის სწრაფ ანაზრაურებაზე, უნდა გამხარიყო „შერიგებისა“ და „მორიგების“ ისტორიული ინსტიტუტის სისხლის სამართლის სივრცეში დაბრუნების პირობა.

დაზარალებულის უფლებებთან მიმართებაში, საერთო სამართლის და კონტინენტური სამართლის ქვეყნების დამოკიდებულება განსხვავებულად ვითარდებოდა. კონტინენტური სამართლის ქვეყნებში დაზარალებული იყო და დღემდე არის პროცესის აქტიური მონაწილე, რომელსაც შეუძლია გავლენა მოახდინოს მთელ რიგ მნიშვნელოვან სამართლებრივ გადაწყვეტილებებზე (გერმანიის სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის თანახმად- წარადგინოს სამოქალაქო სარჩელი იმავე სისხლის სამართლის საქმეზე §§ 403-406c დაადოს ყადაღა ბრალდებულის ქონებას § 111h, აქტიურად იყოს ჩათული მიყენებული ზიანის ანაზრაურებასთან დაკავშირებულ მოლაპარაკებებში § 155, დამატებითი სარჩელი მიმართოს სასამართლოს, სისხლის სამართლის საქმის ფარგლებში ზიანის ანაზღების საკითხის გადასაწყვეტად.<sup>6</sup>; რუსეთის ფედერაციის სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსით, დაზარალებული ბრალდების მხარეს წარმოადგენს და სარგებლობს პროკურორთან გათანაბრებული ისეთი უფლებებით, როგორც არის მტკიცებულებების მოპოვება და წარდგენა, სასამართლო კამათში მონაწილეობა, განაჩენის გასაჩივრება და სხვა), რაც შეეხება საერთო სამართლის ქვეყნებს, „სრულად შეჯიბრებითი პროცესის კონცეფციის ფარგლებში ისტორიულად ისე ჩამოყალიბდა,

---

<sup>6</sup> Павел Головненков;Наталья Спица /Уголовно-процессуальный кодекс Федеративной Республики Германия Научно-практический комментарий и перевод текста закона; изд Потсдамский университет. 2012

რომ მოწმე და დაზარალებული განიხილებიან არა როგორც პროცესის მონაწილეები, არამედ როგორც „უცხოები“ და ამდენად მათი ინტერესის დაცვა არ წარმოადგენს მართლმსაჯულების ცენტრალურ მიზანს, ისევე როგორც დაინტერესება საქმის შედეგით, არის მეორეხარისოვანი სახელმწიფოს და საზოგადოების საჯარო ინტერესთან შედარებით<sup>7</sup>.

აღდგენითი მართლმსაჯულება ის გამოსავალია, რომელიც ყველა მხარეს „მოგებულს“ ტოვებს, იგებს ბრალდებული-რომელიც „ციხის კედლების“ მიღმა, თავისუფლებაზე მყოფი ასრულებს მასზე დაკისრებულ ვალდებულებებს, იგებს დაზარალებული- რომელიც გამოძიებისა და სასამართლო განხილვის ხანგრძლივი და სტრესული პროცედურების გარეშე ინაზღაურებს მიყენებულ ზიანს და იგებს სახელმწიფო, რომელიც თავიდან ირიდებს სისხლის სამართლის პროცესთან დაკავშირებულ მატერიალურ ხარჯებს, ადამიანურ რესურს მიმართავს მძიმე საქმეების გამოძიებისკენ, აძლევს გადატვირთულ სასამართლო სისტემას მართლმსაჯულების სწრაფად განხორციელების საშუალებას, არიდებს რა თავიდან ნაკლებად მძიმე დანაშაულების განხილვისა და გადაწყვეტის ტვირთს და ამდენად კმაყოფილი და მადლიერია პროცესში ჩართული ყველა მხარე.

აღდგენითი მართლმსაჯულების „ახლებური სისტემის“ გამოცდა გასული საუკუნის სამოცდაათიან წლებში კანადაში, ონტარიოს პროვინციაში ექსპერიმენტების სახით დაიწყო პატარა თემებში, სადაც მენონიტი მოსახლეობა უმრავლესობას წარმოადგენდა. მენონიტების რწმენა ემყარება მშვიდობას, ქადაგებს პაციფიზმს და უარყოფს სასამართლო დავას, ფიცსა და სამხედრო სამსახურს. ექსპერიმენტის ფარგლებში ისინი ცდილობდნენ საკუთარი რწმენა სისხლის სამართლის მკაცრი სინამდვილისთვის მიესადაგებინათ და ამ მიზნით დაზარალებ-

---

<sup>7</sup> The Role of the Victim in the Criminal Process: A Literature Review - 1989 to 1999  
[https://www.justice.gc.ca/eng/rp-pr/cj-jp/victim/rr03\\_vic1/p6.html](https://www.justice.gc.ca/eng/rp-pr/cj-jp/victim/rr03_vic1/p6.html)

ბულისა და ბრალდებულის შერიგების სხვადასხვა მეთოდებს ცდიდნენ. აღნიშნული ცდების შედეგად ჩამოყალიბდა პროგრამა „მედიაცია მსხვერპლსა და სამართალდამრღვევს შორის“ (victim offender mediation, VOM)<sup>8</sup> რომლებიც შემდგომ სანიმუშო გახდა მსოფლიო მასშტაბით<sup>9</sup>. აღდგენით მართლმსაჯულებას საყოველთაო ცნობადობა კანადის პატარა ქალაქ კიჩენერსი მომხდარმა შემთხვევამ მოუტანა. 1974 წელს. ორმა ახალაზრდამ ამ ქალაქში 22 ობიექტი გაანადგურა. პრობაციის ოფიცერმა, მარკ იანციმ და მემონტის ციხის დამხმარე თანამშრომელმა დეივ უორტმა მოსამართლესთან დააყენეს შუამდგომლობა ვანდალიზმის ჩამდენები შეეხვედრებნათ ვანდალიზმის მსხვერპლთათვის, რათა დამნაშავეებს გაეცნობიერებებინათ და აენაზღაურებინათ მიყენებული ზიანი. ამ კარგად დავიწყებულ ძველი-ახალი წარმატებული მიდგომის შესახებ ინფორმაცია სწრაფად გავრცელდა<sup>10</sup> და სახელმწიფო გრანტითა და რელიგიური ორგანიზაციის მხარდაჭერით კანადის პატარა თემში შექმნილი „შერიგების პროგრამა“ სწრაფად გავრცედა ჯერ ამერიკის შეერთებულ შტატებში ( თავდაპირველად ინდიანას შტატი-1978 წ) შემდეგ კი მთელს მსოფლიოში.

გასული საუკუნის 80 წლებიდან დაზარალებულსა და დამზარალებლს შორის მედიაციის პროგრამები ამოქმედდა, ნორვეგიაში, ავსტრიაში, ფინეთში, საფრანგეთსა და გერმანიაში. მოგვიანებით სისხლისსამართლებრივი მედიაციის ინსტიტუტი ამუშავდა დასავლეთ და აღმოსავლეთ ევროპის თითქმის ყველა ქვეყანაში...

---

<sup>8</sup> Сергей Николаевич Мельников Жертве это нужно не меньше, чем преступнику <https://www.miloserdie.ru/article/zhertve-eto-nuzhno-ne-menshe-chem-prestupniku/>

<sup>9</sup> З. ზეჰრი, აღდგენითი მართლმსაჯულების პატარა წიგნი, 2002წ, გვ.13

<sup>10</sup> History of Restorative Justice. მოპოვებული <https://www.rjpsc.ca/history-of-restorative-justice.html> 18.05.2021

თუმცა, აღდგენითი მართლმსაჯულების უპირობო წარმატება და შეუქცევადი განვითარება ორ მოვლენას უკავშირდება- ამერიკის ადვოკატთა ასოციაციის 1994 წლის მიღებულ გადაწყვეტილებას, დაემტკიცებინა მსხვერპლსა და იმ დამნაშავეებს შორის შუამავლობის პროგრამა, რომელმაც პირველად ჩაიდინეს ან ჩაიდინეს ნაკლებად მძიმე დანაშაული და ევროპის საბჭოს R(99)19 რეკომენდაციას, რომელიც მოუწოდებს ევროკახშირისა და ევროსაბჭოს წევრ ქვეყნებს გააფართოონ სისხლის სამართლის მედიაციის შესაძლებლობები.

„ასეთი ავტორიტეტული ორგანიზაციების აღიარებით, აღდგენითი მართლმსაჯულების იდეა გახდა ერთგვარი მეინსტრიმი<sup>11</sup>“, რომელიც უცილობლად დაამკვიდრება ახლებურ ხედვებსა და მიდგომებს სისხლის სამართალწარმოებაში.

## § 2 აღდგენითი მართლმსაჯულების ცალკეული ელემენტები ქართულ მართლმსაჯულებაში

„შერიგებისა“ და „მორიგების“ ინსტიტუტმა ქართული სამართლებრივ სივრცეში უხსოვარი დროიდან დაიმკვიდრა ადგილი. ისტორიული წყაროების მიხედვით, მედიაციის ინსტიტუტს ჯერ კიდევ მე - 5 საუკუნეში, საქართველოს სხვადასხვა კუთხეში ვხვდებით. ტერმინი მედიატორი საქართველოში ადრეული დროიდან უნდა გავრცელებულიყო, რადგან იგი ყველა კუთხის დიალექტში გვხვდება. მედიატორია „მედიანადან“ უნდა მომდინარეობდეს, რომელიც ლათინური სიტყვაა და შუას აღნიშნავს. ქართული განმარტებით და მეგრულ ლექსიკონებში მას მომრიგებელი, შუაკაცის მნიშვნელობა აქვს.<sup>12</sup> მე - 19 საუკუნეში ტერმინ „ბჭეს“

<sup>11</sup> Ph.D Marilyn Armour; Restorative Justice: Some Facts and History by Marilyn Armour  
<https://charterforcompassion.org/restorative-justice/restorative-justice-some-facts-and-history>

<sup>12</sup> ს. ტყემალაძე, „მედიაცია საქართველოში: ტრადიციიდან თანამედროვეობამდე“, თბილისი, 2011, გვ 13.



შესისხლხორცებია უცხოური წარმოშობის „მედიატორი“ და ჩამოყალიბებულია „ბჰე - მედიატორი“. „ბჰე“ არის მოსამართლის აღმნიშვნელი უძველესი ტერმინი, რომელიც ძველ მწერლობაში მე - 5 საუკუნიდან გვხვდება. მე - 5 - მე - 10 საუკუნეებში იგი მსაჯულს, ხოლო მე - 10 - მე - 18 საუკუნეებში - „მსაჯულის“ და „მოსამართლის“ პარალელურად გამოიყენებოდა. არ ჰქონდა მნიშვნელობა, თუ ვინ არჩევდა საქმეს - მოდავეთა მიერ არჩეული პირი, თუ სახელმწიფო ხელისუფლების მიერ ნადიმწული. „მოსამართლე“ - მე - 10 საუკუნის შემდგომ გვხვდება და თავისი შინაარსით „სამართლის მოქმედი“, „სამართალი“ კი ერთი მხრივ „მართს“, სწორს არნიშნავს, ხოლო მეორე მხრივ - „მრთელს“ „მთლიანს“, სრულყოფილს. „რჯულის კაცი“ - იგივე მსაჯულის იდეის მატარებელია, ანუ სამართლის-მცოდნეს, „მერჩულეს“ აღნიშნავს. „მორავი“ („მორევი“), მე - 13 საუკუნიდან დღემდე მოსამართლის სვანური სახელწოდებაა, რომელიც შესაძლებელია ძველი დროიდან „მოურავიდან“ შემოდის.<sup>13</sup>

„სამედიატორო სასამართლო“ გვხვდება ისეთ ქართულ სამართლის ძეგლებში, როგორცაა „ბექა-აღბუღას სამართლის წიგნი“, რომელიც იცნობს შუაკაცთა სასამართლოს, ხოლო მედიატორებად ძველი წესების მცოდნე მხცოვან ადამიანებს ირჩევდნენ. კანონმდებლობა მედიატორებს შედარებით მსუბუქი საქმეების გადაწყვეტას ანდობს, ძველის მიხედვით, ცხოვრებაში „მრავალგვარი საქმენი არიან“ და სეთი საქმეების განხილვისას მოსამართლეებმა უნდა დაადგინონ საქმის ვითარება და თავიანთი შეხედულებით შესაბამისი სასჯელიც განსაზღვრონ. ვახტანგ მე - 6 - ის სამართლის წიგნიც მედიატორთა საქმიანობას შედარებით მსუბუქ საქმეებს ითვალისწინებს, მაგალითად: 188 - ე მუხლის მიხედვით, პირუტყვის მიერ მიყენებული ზიანის შესახებ შუაკაცებმა უნდა იმსჯელონ და მიყენებული ზიანის ანაზღაურებაც მათ მიერ მიღებული გადაწყვეტილების საფუძველზე უნდა მოხდეს. დავით ბატონიშვილის კანონპროექტის, „სამართალი ბატონიშვილის დავითისა“, მე -

<sup>13</sup> ს. ონიანი, „მედიაცია - მრავალსაუკუნოვანი ქართული ტრადიცია“, გვ 2.

9 მუხლის თანახმად, ყოველ წელიწადს საჭიროა ბჭის გამორჩევა მეფის ნებით, ან მოდავეთა მიერ.<sup>14</sup> თუ ბჭემ საქმის გარჩევა ვერ შეძლო, მაშინ მხარემ უნდა მიმართოს „უპირველესსა სამსაჯულოსა“, ე.ი მეფის სასამართლოს.<sup>15</sup>

მედიაციის ინსტიტუტს საქართველოში თითოეული კუთხისთვის დამახასიათებელი თავისებურებები გააჩნდა.

სვანეთში მოდავე მარეების შერიგებას ახდენდნენ მედიატორები, იგივე „მორუალები“. თუმცა სანამ მორვალამდე მივიდოდა საქმე, საჭირო იყო მხარეების დათანხმება შერიგების პროცესზე. ამაზე მაცქულარები - იგივე შუაკაცები ზრუნავდნენ. მედიაციის პროცესი როგორც წესი, იწყებოდა მომჩივანის ოჯახში მისვლით და საქმის გარემოებების მოსმენით. ამის შემდგომ მიდიოდნენ მოპასუხის ოჯახში, სადაც მედიატორები დაწვრილებით გადასცემდნენ საჩივარს და ისმენდნენ მოპასუხის პასუხს. საქმის გარემოებების გამოკვლევის შემდგომ მორვეები განცალკევდებოდნენ, როგორც წესი, სოფლის განაპირა ადგილას და განიხილავდნენ საქმეს და იღებდნენ გადაწყვეტილებას, მედიაციის ძირითად არსს კი მხარეთა შერიგებას გულისხმობდა.<sup>16</sup>

ხევსურეთში ჩამოყალიბდა გარკვეული წრე, რომლებიც გამოირჩეოდნენ პატიოსნებით, ავტორიტეტით, გონიერებით, და ერკვეოდნენ ხევსურულ „რჯულში“. მათ ხშირად უხდებოდათ „რჯულში“ მინაწილეობის მიღება. შესაძლოა „რჯულის კაცები“ სხვა თემებიდანაც მოეხმოთ. რთულ სამეზე შეიძლება ქისტებიც კი მოეწვიათ. პროცესი კი ასე გამოიყურებოდა: რჯულის კაცები სწავლობდნენ სამქეს, მიდიოდნენ ჯერ ერთ მხარესთან და დაწვრილებით გამოჰკითხავდნენ საქმის ვითარებას, შემდეგ მეორე მხარესთან და დაწვრილებით გადასცემდნენ პირველი მხარის ჩვენებას, თუმცა

---

<sup>14</sup> ს. ონიანი, „მედიაცია - მრავალსაუკუნოვანი ქართული ტრადიცია“, გვ 5.

<sup>15</sup> ს. ტყემალაძე, „მედიაცია საქართველოში: ტრადიციიდან თანამედროვეობამდე“, თბილისი, 2011, გვ19

<sup>16</sup> ს. ტყემალაძე, „მედიაცია საქართველოში: ტრადიციიდან თანამედროვეობამდე“, თბილისი, 2011, გვ24

შეძლებისდაგვარად არბილებდნენ მკვეთრ გამონათქვამებს. მეორე მხარეს შეეძლო მოწინააღმდეგის მტკიცების უარყოფა. პროცესზე შესაძლოა მოწმეების დაეკითხათ. თუკი ექვმიტანილი უარყოფდა დანაშაულს ან თუ მოწმე გადაწყვეტ ცვენებას იძლეოდა, შეიძლება მომხდარიყო მათი დაფიცება ჯვარში. თუ რჯულის კაცები განაჩენის გამოტანას ვერ ახერხებდნენ, რჯული იშლებოდა და მხარეებს ურჩევდნენ ახალი რჯულის კაცები აერჩიათ, თუმცა ეს იშვიათად ხდებოდა.<sup>17</sup>

1860-1870 წლებში, იმპერატორ ალექსანდრე II -ს ძალისხმევით, რუსეთში განხორციელდა დიდი სასამართლო რეფორმა, რომელიც თავისი შინაარსით იმ პერიოდში ერთ-ერთი ყველაზე პროგრესული იყო. ჩამორჩენილ და ფეოდალურ იმპერიაში ფუნქციონირება დაიწყო ისეთმა პროგრესულმა ინსტიტუციებმა, როგორც არის ნაფიც მსაჯულთა სასამართლო, ნაფიც ვეჟილთა ინსტიტუტი, მომრიგებელი- მოსამართლე და სხვა. რეფორმა შეეხო საქართველოსაც, როგორც იმ პერიოდისთვის რუსეთის შემადგენლობაში შედიოდა. 1865 წლიდან საქართველოში ფუნქციონირება დაიწყო მომრიგებელი მოსამართლის ინსტიტუტამ, რომლის უფლებამოსილებაშიც წვრილმანი დანაშაულის საქმეებსა და 500 მანეთამდე თანხის დავასთან დაკავშირებული სამოქალაქო საქმეების გადაწყვეტა შედიოდა.

მომრიგებელი სასამართლო-ეს იყო თემიდან სამართლებრივ სივრცეში გადატანილი მედიაციის ინსტიტუტი, რომელსაც როგორც ილია ჭავჭავაძე ამბობდა, ადამიანებისთვის „სწრაფი და მარტივი, უფორმლო სამართალით, დარღვეული უფლებები მსწრაფლ უნდა აღედგინა“<sup>18</sup> მედიაციასა და მოლაპარაკებით დავის გადაწყვეტის უპირატესობის საკითხებს, თავად ღუშეთის მაზრაში მომრიგებელ

<sup>17</sup> ს. ტყემალაძე, „მედიაცია საქართველოში: ტრადიციიდან თანამედროვეობამდე“ , თბილისი, 2011, გვ.27.

<sup>18</sup> ნინო გვენეტაძე, ევა გოცირიძე, ვახტანგ თორდია; მოსამართლე საქმიანობის შეფასების, სასამართლო მედიაციისა და არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების საკითხებზე მემორანდუმის ხელმოწერი ქვეყნების მოსამართლეთა ასოციაციების საერთაშორისო კონფერენციის მასალები/ 2017 . გვ.62

მოსამართლედ გამწესებულმა ილიამ საკუთარ პუბლიკაციებსიც ბევრი დრო დაუთმო და პრაქტიკულადაც ახორციელებდა<sup>19</sup>.

დამოუკიდებლობის მოპოვების შემდეგ, მომრიგებელი მოსამართლის ინსტიტუტი საქართველოს პირველ რესპუბლიკაში კიდევ უფრო განმტკიცდა. 1818 წლის 24 სექტემბერს ეროვნულმა საბჭომ დაამტკიცა კანონი „მომრიგებელ მოსამართ-ლეთა ინსტიტუტის“ და გააფართოვა მისი იურისდიქცია<sup>20</sup>

რა თქმა უნდა, მორიგების, შერიგების ისტორიული ფორმები განსხვავდებოდა თანამედროვე მედიაციისგან, რამდენ, წარსულში არსებული საქმიანობისგან განსხვავებით, დღეს მედიატორი არ არის გადაწყვეტილების მიმღები და მისი მიღებული გადაწყვეტილება არ ატარებს შესასრულებლად სავალდებულო ხასიათს. თანამედროვე სისტემებში მედიატორი არის შუამავალი, რომელიც მხარეებს საშუალებას აძლევს განმარტონ, როგორ წარმოუდგენიათ შერიგება, რა პირობებზე არიან თანახმა და თანაბარ პირობებში წარმრტავს დიალოგს მათ შორის. დათანხმდებიან თუ არა მხარეები ერთმანეთის პირობებს- მთლიანად მათ სურვილზეა დამოკიდებული.

დამოუკიდებლობის ხელახლა გამოცხადების შემდეგ, საქართველოს პარლამენის მიერ მიღებულ პირველ სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსს (1998წ), მომრიგებელი მოსამართლის ინსტიტუტი აღარ აღუდგენია. თუმცა ის შეიცავდა მთელ რიგ რეგულაციებს, რომლებიც მხარეთა „მორიგებას“ და „შერიგებებას“ ცნობდა როგორც ფაქტს, რომელიც სისხლისსამართლებრივი დევნის შეწყვეტის საფუძველს წარმოადგენდა როგორც გამოძიების, ისე სასამართლოში საქმის განხილვის სტადიაზე. აღნიშნული კოდექსით დაზარალებული წარმადგენდა ბრალდებს მხარეს და პროკურორთან გათანაბრებული უფლებების ფართო

---

<sup>19</sup> ალექსანდრე წულაძე; სასამართლო მედიაციის კონცეპტუალური ხედვა/ ჟურნალი სამართალი 2016 წ N1 გვ. 166

<sup>20</sup>

სპექტრით სარგებლობდა. მეტიც, ის თავად იყო კერძო ბრალმდებელი (მუხლი 120 ჯანმრთელობის განზრახ მსუბუქი დაზიანება, მუხლი 125 ცემა ) ; ან სუბსიდიური ბრალმდებელი (მუხლი 137. გაუპატიურება 3/ნ, მუხლი 139. პირის სხეულში სექსუალური ხასიათის შეღწევის ან სექსუალური ხასიათის სხვაგვარი ქმედების იძულება, სიტყვის თავისუფლების ხელყოფა 3.ნ, 157, მუხლი 175. შვილად აყვანის საიდუმლოების გამჟღავნებაპირადი ცხოვრების ამსახველი ინფორმაციის ან პერსონალური მონაცემების ხელყოფა, 167 ინფორმაციის გაცნობაზე უარის თქმა ან არასწორი ინფორმაციის წარდგენა მუხლი 189. საავტორო, მომიჯნავე უფლების მფლობელისა და მონაცემთა ბაზის დამამზადებლის უფლების ხელყოფა, მუხლი 189 1. სამრეწველო საკუთრების უფლების ხელყოფა) კერძო და კერძო-საჯარო სისხლის სამართლის საქმეებს მიკუთვნებულ დანაშაულებზე და ასევე მაშინ, თუ არ ეთანხმებოდა პროკურორს უარს ბრალდებაზე ან მის მიერ ფორმულირებულ ახალ ბრალდებას. დაზარალებულისა და ბრალდებულის შერიგებით წყდებოდა ისეთი საქმეები, რომლებიც არ მოითხოვდა წინასწარ გამოძიებას და დაზარალებულის მიერ უშუალოდ სასამართლოსთვის მიმართვით იწყებოდა (კერძო სისხლის სამართლებრივი დევნა). რაც შეეხება კერძო-საჯარო ბრალდების საქმეებს, მათ გამო გამოძიებისა და დევნის დაწყება თუმც მთლიანად იყო დამოკიდებული დაზარალებულის ნებაზე (ან წერილობით თანხმობაზე), ბრალდებულთან შეიგების გამო საქმის შეწყვეტა ან/გადაწყვეტა წარმოადგენდა პროკურორის ან სასამართლოს პრეროგატივას- იმ შემთხვევაში თუ გამოიკვეთებოდა, რომ სისხლისსამართლებრივი დევნის გაგრძელება ზიანს აყენებდა ორივე მხარის ინტერესებს.

2003 წლის 20 ივლისს საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსში შესული ცვლილებით, ნაკლებად მძიმე დანაშაულის ჩამდენი არასრულწლოვანისა და დაზარა-ლებულის შერიგება- მიჩნეული იქნა სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობისგან მისი განთავისუფლების საფუძველად 89<sup>1</sup>.

რა თქმა უნდა, არც ერთი მოყვანილი რეგულაცია არ არის „მედიაცია“ კლასიკური გაგებით, ბრალდებულისა და დაზარალებულის „შერიგების“ პროცესი და პირობები არ წარმოადგენდა პროკურორისა და მოსამართლის ინტერესის საგანს, თუმცა, მათ რა თქმა უნდა შეეძლოთ შერიგება, როგორც გამოსავალი შეეთავაზებინათ მხარეებისთვის.

ის რომ, 1998 წლის სისხლის სამართლის კოდექსის შექმნისას კანონმდებელი ნამდვილად ხელმძღვანელობდა კერძო და საჯარო ინტერესების ბალანსის დაცვით ჩანს იქედანაც, რომ „დისპოზიციურობა“- კოდექსის დამოუკიდებელ პრინციპად მიიჩნეოდა, რაც ზემოთ განხილულ შემთხვევებში, პირის კანონიერ ინტერესს, დანაშაულის გახსნისა და დამნაშავის დასჯის საჯარო ინტერესთან მიმართებაში უპირატესობას ანიჭებდა.

ამდენად, ვიდრე 2010 წლამდე, ქართულ სისხლის სამართალწარმოებაში ჩვენ შეგვიძლია ვისაუბროთ მხოლოდ მედიაციის პროცესის ცალკეული ელემენტების არსებობაზე: საჯარო სისხლისსამართლებრივი დევნის ალტერნატიულ ფორმებზე, ცალკეულ შემთხვევებში „შერიგების“, „კერძო“ ინტერესის უპირატეს ბუნებაზე, თუმცა რა თქმა უნდა, ამ ცალკეული რეგულაციების მიზანი არ ყოფილა „აღდგენითი მართლმსაჯულების“ მიზნის იდენტური. რადგან ისნი, არც ბრალდებულის რესოციალიზაცია/რეაბილიტაციას და არც დაზარალებულის მიერ განცდილი ზიანის სწრაფად ანაზრაურებას არ ემსახურებოდა.

## თავი 2

### აღდგენითი მართლმსაჯულების მიზნები

#### § 1 ბრალდებულის რესოციალიზაცია /რეაბილიტაცია

რესოციალიზაცია არის ადამიანის ადაპტაცია ცხოვრების ახალ საზოგადოებაში. სოციალური ნორმების და კულტურის დაუფლების პროცესი, როდესაც ღირებულებები არ არის ათვისებული ან არასაკმარისად არის ათვისებული და საჭიროებს განახლებას ახალი სოციალური განვითარების ეტაპზე.

რესოციალიზაციის განმარტებისას მნიშვნელოვანია განვასხვაოთ სიტყვა „რე“ და ლათინური წარმოშობის სიტყვა „სოციალიზაცია“ რაც ნიშნავს: პირის საზოგადოების ნაწილად გადაქცევას, გარკვეული ცოდნის მიღების პროცესს, ნორმების სისტემას. იგი მოიცავს მიზანმიმართულ გავლენას ადამიანის აღზრდაზე, ასევე ბუნებრივ, სპონტანურ პროცესებს, რომლებიც გავლენას ახდენს პიროვნების ფორმირებაზე.<sup>21</sup>

უფრო ვიწრო გაგებით, რესოციალიზაცია არის პროცესი, რომლის დროსაც ადამიანი ითვისებს ღირებულებებსა და ნორმებს, რომლებიც რადიკალურად განსხვავდება აქამდე ათვისებული ნორმებისა და ღირებულებებისგან. ამგვარ რესოციალიზაციას წინ უძღვის ადრე ათვისებული ღირებულებებისა და ნორმების განადგურება.<sup>22</sup>

---

<sup>21</sup> Sulamanidze, R. (2019, August 13th). The Meaning of Rehabilitation-Resocialization and its Regulation Based on National and International Standards. Retrieved from <https://www.penalreform.org/blog/the-meaning-of-rehabilitation-resocialization-and-its-regulation/> (23.04.2021)

<sup>22</sup>. Ресоциализация. (б.д.). Получено из Энциклопедия гуманитарных наук: [http://www.zpu-journal.ru/zpu/2005\\_4/Perinskaia/34.pdf?fbclid=IwAR3D3JFpSajPbqBYgBrp5652F-yqSCjuhB5Vdnfd9kWovI09Clh4kF0Yu64](http://www.zpu-journal.ru/zpu/2005_4/Perinskaia/34.pdf?fbclid=IwAR3D3JFpSajPbqBYgBrp5652F-yqSCjuhB5Vdnfd9kWovI09Clh4kF0Yu64) (23.04.2021)

რესოციალიზაციად ითვლება პიროვნების ისეთი გარდასახვა, რა დროსაც იგი გადადის ერთი სამყაროდან მეორე სამყაროში, როგორცაა ემიგრაცია, ახალი რელიგიის მიღება, ხანგრძლივი ჰოსპიტალიზაცია, პატიმრობა და ა.შ.

ასეობს როგორც ნებაყოფლობითი რესოციალიზაცია, ასევე უნებლიე. ნებაყოფლობითი რესოციალიზაცია ხდება არჩევანის გაკეთებით, რომელიც მოიცავს ისეთ პროცესს, როგორცაა ახალი სამუშაოს ან სამუშაო გარემოსთან მორგებას, სხვა ქვეყანაში გადასვლას, სადაც უნდა აითვისოს ახალი წეს- ჩვეულებები, უნივერსიტეტში ჩაბარებას, ქორწინება, რა დროსაც იცვლება ადამიანის ცხოვრებისეული რუტინა. იძულებითი რესოციალიზაცია ხდება ადამიანის ნების საწინააღმდეგოდ, რომლის მაგალითებიცაა ისეთი მოვლენები, როგორცაა პატიმრობა ან დაქვრივება.

ადამიანის უფლებათა ჭრილში რესოციალიზაცია გულისხმობს უსაფუძვლოდ შელახული ღირსების, პატიოსანი სახელის და ჩამორთმეულ უფლებათა არდგენას.

არასრულწლოვანთა რესოციალიზაციის განმარტება მოცემულია არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსის მე-3 მუხლის მე-18 ნაწილში, რის თანახმადაც რესოციალიზაცია-რეაბილიტაცია არის არასრულწლოვნებში პასუხისმგებლობის გრძნობის , სხვა ადამიანთა უფლებების პატივისცემის გრძნობის ჩამოყალიბება და განვითარება, არასრულწლოვნის ფიზიკური, გონებრივი, სულიერი, ზნეობრივი და სოციალური განვითარების ხელშეწყობა და მისი მომზადება საზოგადოებაში ადგილის დასამკვიდრებლად.

არასრულწლოვნის თვითშეგნებისა და სოციალურ განვითარებაზე საუბრისას აუცილებელია, გავითვალისწინოთ ოჯახის როლი, რომლის ძირითად ამოცანას წარმოადგენს მოზარდის აღზრდა და განვითარება, სწორი ჩვეულებების ჩამოყალიბება და საზოგადოებაში ადგილის დამკვიდრება. მშობლები მოზარდს ეხმარება გადალახონ მათ ცხოვრებაში არსებული მოვლენები, მორალური და



ფსიქოლოგიური სიმნელები, რათა მათ აირჩიონ ცხოვრებისეულად სწორი მიმართულება. მოზარდის პიროვნების ფორმირებაში დიდი დოზით აისახება მშობლებისა და ოჯახის ცხოვრებისეული გამოცდილება და მათი დამახასიათებელი თვისებები. ყოველივე ეს საახვას პოულობს თვითშეგნების ფორმირებაში, სადაც გროვდება ცოდნა და გამოცდილება, მუშავდება შესაბამისი ქცევის ნორმები გარკვეული მოქმედების შესასრულებლად.

მოზარდის მართლშეგნების განვითარება უმთავრესად ხორციელდება ქცევის პროცესში. უფროსები აძლევენ ორგანიზებულად რჩევასა და მოთითებებს. ეხმარებიან ქცევის პროცესში წარმოშობილ სიმნელების დაძლევაში. ერთობლივ საქმიანობაში ერთიანდებიან ბავშვები და ამყარებენ ერთმანეთთან სხვადასხვაგვარ ურთიერთობებს, რომლებიც ბავშვთა საზოგადოების საფუძველს შეადგენს და ხელს უწყობს მისი წევრების პიროვნების განვითარებას.<sup>23</sup>

მშობლების მიერ მოზარდის ავტორიტეტულმა აღზრდამ ხშირ შემთხვევაში შეიძლება გამოიწვიოს უარყოფი შედეგები, მაგრამ მოზარდის აღზრდის ძირითად ინსტიტუტად წარმოდგენილია სკოლა, რომელიც აღმოფხვრავს ბავშვის განვითარების ადრეულ ეტაპზე დაშვებულ შეცდომებს და ეხმარება წარმატებით ადაპტირდეს ამ სამყაროში.

ფსიქოლოგების მრავალი კვლევის შედეგად ღრმად შესწავლილია და გაშუქებული მოზარდის განვითარების სოციალური სპექტრი და გენეზისი. ძირითადად პიროვნების ჩამოყალიბება ხდება სკოლაში, სკოლის გარეშე საამღზრდელო დაწესებულებებში და ოჯახში. ოჯახი პირველადი სოციალური უჯრედია, სადაც სათავეს იღებს ბავშვის პიროვნული ფორმირება. ჩვილური ასაკის პირველი

---

<sup>23</sup> ლაურა ჭანტურია. (2017). *სისხლის სამართლის აქტუალური საკითხები*. თბილისი: ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტი. გვ. 146

დღიდანვე ბავშვი თავისი განვითარებისთვის მუდმივი ბრძოლის პროცესშია ჩართული : ეს ბრძოლა დაკავშირებულია მუდმივად არსებულ მიზანთან - ძლიერების, სრულყოფილების და უპირატესობის ხატთან. ეს მიზანმიმართული ბრძოლა და აქტივობა ასახავს ადამიანისათვის დამახასიათებელი აზროვნებისა და წარმოსახვის უნარს და მთელი ცხოვრების განმავლობაში დომინირებენ, რამეთუ ისინიც სუბიექტურნი არიან და იბადებიან მიზნისა და ცხოვრების გამომუშავებული სტილის შესაბამისად.<sup>24</sup>

## **§ 2 დაზარალებულისთვის მიყენებული ზიანის ანაზღაურება - როგორც აღდგენითი მართლმსაჯულების მიზანი**

სისხლის სამართალში მედიაციის განვითარების მიზანია, დაცული იყოს დაზარალებულის ინტერესები. მედიაციის, როგორც, „სტრუქტურირებული მოლაპარაკების პროცესის“ განხორციელების არსი მდგომარეობს პროფესიონალი მედიატორის დახმარებით, კონფლიქტში მონაწილე მხარეების შერიგებაში, კონფლიქტის მოგვარებაში, რომელმაც ორივე მხარეს დადებითი შედეგები უნდა მოუტანოს: კანონთან კონფლიქტში მყოფი მოზარდი დაზარალებულთან ურთიერთობით იძულებული ხდება პასუხისმგებლობა აიღოს მის მიერ ჩადენილ უკანონო ქმედებაზე, საკუთარ ქმედებას შეხედოს დაზარალებულის თვალთ, ხოლო მის მიერ დაზარალებულისთვის ბოდიშის მოხდა და მისთვის მიყენებული ზარალის

---

<sup>24</sup> ლაურა ჭანტურია. (2017). *სისხლის სამართლის აქტუალური საკითხები*. თბილისი: ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტი. გვ.144

ანაზღაურება მიჩნეულია დაზარალებულის მხრიდან სახელმწიფო ორგანოებისა და მნიშვნელოვან ასპექტად.<sup>25</sup>

აღდგენითი მართლმსაჯულების ერთ-ერთი მთავარი ამოცანა არის დაზარალებულის უფლებების დაცვა. დაზარალებულსა და დამნაშავეს შორის მედიაცია ხელს უწყობს დანაშაულებრივი ქმედების შედეგად მიყენებული რგორც მატერიალური, ასევე მორალური ზიანის ანაზღაურებას. დაზარალებული თავად მონაწილეობს მოალაპარაკებაში და ხელშეკრულების შედგენაში, შესაბამისად გაცილებით სწრაფად იღებს მიყენებული ზიანის კომპენსაციას გაჭიანურებული სასამართლო პროცესების გარეშე და ანაზღაურებს მორალური ზიანს დამნაშავესთან შერიგების საშუალებით და თავიდან ირიდებს სასამართლო პროცესებზე გამოცხადების შედეგად მიღებულ სტრესს. ხოლო, დამნაშავეს საშუალება ეძლევა აღიაროს დანაშაული, აქტიური როლი შეასრულოს მიყენებული ზიანის გამოსწორებაში და მოიხადოს ბოდიში დაზარალებულისათვის.

კანონმდებლობის მიხედვით, საჯარო ინტერესი სისხლის სამართლით არის დაცული, რაც იმას ნიშნავს, რომ სისხლისსამართლებრივ დევნას - დანაშაულის ჩადენის შემდგომ საზოგადოების ინტერესთა დაცვას საკანონმდებლო დონეზე უზრუნველყოფს პროკურორი. ხოლო, კერძო ინტერესე სამოქალაქო სამართლით არის დაცული - კერძო პირის, ანუ დაზარალებულის მიმართ მიყენებული ზიანის ანაზღაურებას უზრუნველყოფს საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 992- ე მუხლი:

„ პირი, რომელიც სხვა პირის მართლსაწინააღმდეგო, განზრახი ან გაუფრთხილებელი მოქმედებით მიაყენებს ზიანს, ვალდებულია აუნაზღაუროს ეს ზიანი.“<sup>26</sup>

---

<sup>25</sup> მ.შალიკაშვილი, არასრულწლოვანთა განრიდების და მედიაციის სისხლისსამართლებრივი, კრიმინოლოგიური და ფსიქოლოგიური ასპექტი, თბილისი, 2013, გვ. 6.

მართლსაწინააღმდეგო ქმედებით გამოწვეული ზიანის ანაზღაურების მოთხოვნისათვის საჭიროა არსებობდეს სასამართლოს კანონიერ ძალაში შესული გამამტყუნებელი განაჩენი, რომლის თანახმადაც პრეიუდიციად ითვლება ზიანის მიყენების ფაქტი. ეს ყველაფერი მოითხოვს დიდ დროსა და ხარჯებდ. ხოლო განრიდებასა და მედიაციის გამოყენების შემთხვევაში დაზარალებული გაცილებით სწრაფად შეძლებს აინაზღაუროს მიყენებული ზიანი. იზოგება სახელმწიფო რესურსი, რაც დაიხარჯებოდა დანაშაულის გამოსაძიებლად და პროცესების შემდეგი მსვლელობისთვის.

---

<sup>26</sup> საქართველოს სამოქალაქო კოდექსი, მუხლი 992-ე.

### თავი 3 . აღდგენითი მართლმსაჯულების შედეგები და მისი პერსპექტივები საქართველოში

#### § 1 სისხლისსამართლებრივი დევნის ალტერნატიული ფორმების გამოყენები პროცედურა.

„ნამდვილი“ აღდგენითი მართლმსაჯულების სისტემა საქართველოში 2010 წლის 15 ნოემბერს, ოთხ ქალაქში თბილისში, რუსთავში, ქუთაისსა და ბათუმი ამოქმედდა და 19 ნოემბერს, უშუალოდ აღდგენითი მართლმსაჯულებისთვის დამახასიათებელი მექანიზმებით, განრიდებული იქნა პირველი არასრულწლოვანი.

წარმატებული სტარტის შემდეგ, ის მალევე ხელმისაწვდმი გახდა სრულწლოვანი ბრალდებულებისთვისაც, 2013 წლიდან მთელი საქართველოს მოიცვა ხოლო 2014 წლის ცვლილებებით, შესაძლებელი გახდა მძიმე დანაშაულის ჩამდენი პირების (სრულწლოვანი, არასრულწლოვანი) განრიდებაც.

2015 წელს საქართველოს პარლამენტმა მიიღო არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსი, რომელითაც არა მარტო განმტკიცდა აღდგენითი მართლმსაჯულების ინსტიტუტები, არამედ მისი შეთავაზება გახდა იმპერატიულად პრიორიტეტული 14-21 წლამდე კანონთან კომფლიქტში მყოფი იმ პირებისთვის, რომლებიც აკმაყოფილებენ დადგენილ მოთხოვნებს .

ევროპის საბჭოს R(99)19 რეკომენდაციის გათვალისწინებით, 2018 წლიდან საპილოტე რეჟიმში ამუშავდა სისხლის სამართლის მედიაციის პროგრამა სრულწლოვანი მსჯავრდებულებისთვისაც.

კანონთან კონფლიქტში მყოფი პირის/ბრალდებულის/მსჯავრდებულის რესოციალიზაციასა და დაზარალებულის ინტერესზე ორიენტირებული

საკანონმდებლო რეგულაციების თანმიმდევრული გაფართოვება გვაფიქრებინებს, რომ აღდგენით მართლმსაჯულებას სამომავლოდ დიდი პერსპექტივა აქვს, რაც საბოლოოდ უნდა აისახოს არამარტო „კმაყოფილ მხარეებზე“, არამედ გადატვირთულ საგამომიებო ორგანოების, პროკურატურისა და სასამართლოს საქმიანობაზე.

საქართველოში აღდგენით მართლმსაჯულება ორი, თვისობრივად განსხვავებული მექანიზმით, განრიდებითა და მედიაციით ხორციელდება.

როგორც არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსში კანონმდებელი განმარტავს: განრიდება – სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობისაგან გათავისუფლების ფორმა და სისხლისსამართლებრივი დევნის ალტერნატიული მექანიზმია, რომლის მიზანსაც ბრალდებული არასრულწლოვნის სათანადო განვითარება, საზოგადოებაში ინტეგრაციის ხელშეწყობა და ახალი დანაშაულის თავიდან აცილება წარმოადგენს, საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი, ტერმინთა განმარტებაში- „განრიდების“ დეფინიცია არ იძლევა, თუმცა უნდა ვივარაუდოთ, რომ ამ შემთხვევაშიც მისი ფუნქცია და მიზანი იდენტურია. განრიდების გზით სისხლის სამართლებრივი პასუხისმგებლობისგან პირის განთავისუფლების პირობების განსაზღვრა, მათი ბრალდებულთან (მის კანონიერ წარმომადგენელთან) შეჯერება და საბოლოო გადაწყვეტილების მიღება პროკურორის დისკრეციაა. განრიდების პროცედურის დაწყების შესახებ დადგენილების გამოტანის შემდეგ, აღნიშნული საპროცესო დოკუმენტი გადაეცემა „დანაშაულის პრევენციის, არასაპატიმრო სასჯელთა აღსრულების და პრობაციის ეროვნულ სააგენტოს“, რომელიც მას გადასცემს სოციალურ მუშაკს-არასრულწლოვნის შეფასების ანგარიშის მომზადების მიზნით და მედიატორს (თუ დაზარალებული ცნობილია და ბრალდებული თანახმაა მასთან დიალოგზე).

არასრულწლოვნის შეფასების ანგარიშის საფუძველზე, სოციალური მუშაკის ჩართულობით, ხოლო იმ შემთხვევაში, თუ დაზარალებული და ბრალდებული თანახმა არიან მედიაციაზე, ასევე მედიატორის ჩართულობით, განსაზღვრავრება ხელშეკრულების პირობები. ერთის მხრივ, პირობები უნდა შეესაბამებოდეს ბრალდებულის საუკეთესო ინტერესებს და ემსახურებოდეს მის რესოციალიზაციას მეორეს მხრივ კი (მედიაციის შემთხვევაში) ის უნდა ასახავდეს დაზარალებულის სურვილსა და ინტერესს.

მედიაცია, რომელიც ჯერ მხოლოდ არასრულწლოვანთა მართლმსაჯულებაში გამოიყენება – მედიატორის ჩართულობით კანონთან კონფლიქტში მყოფ არასრულწლოვანსა და დაზარალებულს შორის დიალოგის პროცესია, რომლის მიზანსაც მხარეებს შორის არსებული კონფლიქტის ამოწურვა და მათი შერიგება წარმოადგენს. განრიდებისგან განსხვავებით, მედიაცია არ არის დამოუკიდებელი პროცედურა, ის თავის თავში მოიცავს განრიდებასაც და მისგან განსხვავებულ ხასიათს მხოლოდ მას შემდეგ იძენს, თუ დაზარალებული ცნობილია და თანხმდება პროცედურაში ჩართვაზე.

განრიდებისგან განსხვავებით, განრიდება/ მედიაციის პროცესში პროკურორის ჩართულობა არ არის მაქსიმალური, ის მხარეთა დიალოგში მხოლოდ მათი სურვილის შემთხვევაში მონაწილეობს. წარმატებული მედიაციის შემთხვევაში, კანონთან კონფლიქტში მყოფ არასრულწლოვანთან განრიდებისა და მედიაციის ხელშეკრულებას აფორმებს მედიატორი. მისი გაფორმების ვადა და პროცედურა კი სააგენტოს დირექტორის ბრძანებით განისაზღვრება. მხარეთა შორის შეუთანხმებლობა, არ ზღუდავს პროკურორს გამოიყენოს ბრალდებულის სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობისგან დანთავისუფლების მეორე ფორმა-განრიდება ან მიიღოს კანონმდებლობით გათვალისწინებული სხვა გადაწყვეტილება.

განრიდებასა და მედიაციის პროგრამაში არასრულწლოვნის ჩართვა ხდება იმ შემთხვევაში, როცა სისხლის სამართლის საქმეს ჰყავს დაზარალებული და ამ უკანასკნელის მონაწილეობა მედიაციის პროცესში დადებითად აისახება არასრულწლოვნის ქცევაზე და დაეხმარება მისმიერ ჩადენილი დანაშაულის უკეთ გაცნობაში, ხდება მედიაციის კონფერენციის გამართვა, რომელიც მიზნად ისახავს არასრულწლოვანზე დადებითი ზეგავლენის მოხდენას. განრიდების პროგრამა გამოიყენება ისეთი დანაშაულების შემთხვევაში, რომელსაც არ ჰყავს დაზარალებული (მაგ: საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 273-ე, 236-ე მუხლები)<sup>27</sup>

როდესაც სახეზეა დანაშაული განრიდების შესაძლებლობა გვაქვს იმ შემთხვევაში, თუ:

„ა) არასრულწლოვანმა პირველად ჩაიდინა დანაშაული;

ბ) არასრულწლოვანს არ მიუღია მონაწილეობა განრიდებისა და მედიაციის პროგრამაში;

გ) არასრულწლოვანი აღიარებს დანაშაულს და მზად არის ბოდიში მოიხადოს დაზარალებულის წინაშე (ასეთის არსებობის შემთხვევაში);

დ) არასრულწლოვანი (მისი ოჯახი) მზად არის აანაზღაუროს ზიანი, ან დაზარალებული უარს აცხადებს ზიანის ანაზღაურების მოთხოვნაზე;

---

<sup>27</sup> საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის კომენტარები, ავტორთა კოლექტივი, თბილისი 2015, გვ352.



ე) პროკურორის შინაგანი რწმენითა და არასრულწლოვნის ჭეშმარიტი ინტერესის გათვალისწინებით, არ არსებობს სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყების, ან უკვე დაწყებული დევნის გაგრძელების საჯარო ინტერესი.<sup>28</sup>

განრიდების შესახებ გადაწყვეტილების მიღებამდე პროკურორი ხვდება არასრულწლოვანს, მის კანონიერ წარმომადგენელს და ესაუბრება ჩადენილი დანაშაულის შესახებ. არასრულწლოვნის კანონიერი წარმომადგენელი არის არასრულწლოვნის ახლო ნათესავი, მხარდამწერი, მეურვე, მზრუნველი, რომელიც მისი ინტერესების დასაცავად არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების პროცესში მონაწილეობს და სარგებლობს არასრულწლოვნის უფლებებით, გარდა იმ უფლებებისა, რომლებითაც, თვით ამ უფლებების ბუნებიდან გამომდინარე, შეიძლება მხოლოდ არასრულწლოვანმა ისარგებლოს.<sup>29</sup>

განრიდებისა და მედიაციის პროცესში არასრულწლოვნის კანონიერი წარმომადგენლის მონაწილეობა ძალიან მნიშვნელოვანია, რადგან არასრულწლოვანს გვერდით ჰყავდეს ნდობით აღჭურვილი პირი და ერთობლივად მიიღონ განრიდებისა და მედიაციის საკითხებთან დაკავშირებული გადაწყვეტილებები.

თუ არასრულწლოვანს არ ჰყავს კანონიერი წარმომადგენელი, განრიდებისა და მედიაციის პროცესში ერთვება პროკურორის, გამომძიებლის მიერ დანიშნული მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანოს თანამშრომელი ან სხვა სანდო პირი, რომელიც ანხორციელებს წარმომადგენლობით უფლებამოსილებას არასრულწლოვნის სახელით და მისი საუკეთესო ინტერესების დასაცავად.

---

<sup>28</sup> საქართველოს იუსტიციის მინისტრის ბრძანება N216 განრიდება და მედიაციის შესახებ პროკურორისთვის სახელმძღვანელო მითითებებისა და მხარეებს შორის გასაფორმებელი ხელშეკრულების ძირითადი პირობების დამტკიცების თაობაზე.

<sup>29</sup> არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსი, მე-3 მუხლი, მე-11 ნაწილი.

საპროცესო წარმომადგენელი სარგებლობს იმავე უფლებებით, რომლებითაც კანონიერი წარმომადგენელი.<sup>30</sup>

თუ სისხლის სამართლის საქმეს ყავს დაზარალებული, პროკურორი ხვდება დაზარალებულსაც. განრიდებასა და მედიაციაში დაზარალებული არის პირი, რომელსაც კონკრეტულ სისხლის სამართლის საქმეში დაზარალებულის სტატუსი აქვს მინიჭებული. საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 56-ე მუხლის თანახმად, პროკურორს გამოაქვს დადგენილება პირის დაზარალებულად ცნობის შესახებ.<sup>31</sup>

პროკურორი აცნობს დაზარალებულს არასრულწლოვნის განრიდების პროგრამაში ჩართვის საფუძვლებს და მიზეზებს, განუმარტავს დადებით მხარეებს თუ რატომ არის სასარგებლო მედიაციის პროგრამაში მონაწილეობა და ისმენს მის მოთხოვნებსა და პოზიციას. დაზარალებულის საბოლოო გადაწყვეტილებას ისმენს მედიატორი და აცნობს პროკურორს.

თუ დაზარალებული თანხმობას განაცხადებს მედიაციაში მონაწილეობის შესახებ, პროცესში ერთვება მედიატორი. ხოლო თუ უარს განაცხადებს მედიაციაში მონაწილეობაზე, პროკურორს აქვს უფლება გამოიტანოს დადგენილება არასრულწლოვნის განრიდების პროცესის დაწყების შესახებ და ხდება არასრულწლოვნის განრიდება მედიაციის გარეშე.

პროკურორმა დადგენილების გამოტანდან 3 სამუშაო დღის ვადაში უნდა მიმართოს პრობაციის ეროვნულ სააგენტოს სოციალური მუშაკის, ხოლო სისხლის სამართლის

---

<sup>30</sup> არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსი, მე-3 მუხლი, მე-12 ნაწილი.

<sup>31</sup> მ.შალიკაშვილი, განრიდების და მედიაციის სისხლისსამართლებრივი, კრიმინოლოგიური და ფსიქოლოგიური ასპექტი, თბილისი, 2013 წ.

საქმეში დაზარალებულის არარსებობისას ასევე საქართველოს იუსტიციის სამინისტროს მედიატორის გამოყოფის თხოვნით.<sup>32</sup>

სოციალური მუშაკი არის არასაპატიმრო სასჯელთა აღსრულებისა და პრობაციის ეროვნული სააგენტოს სისტემის თანამშრომელი, რომელსაც მიღებული აქვს უმაღლესი განათლება სოციალური ან სხვა სფეროში და ამავდროულად გავლილი აქვს გრძელვადიანი ტრენინგი სოციალური მიმართულებით.<sup>33</sup>

მას შემდეგ, რაც პროკურორი პრობაციის ბიუროს უფროს წერილობით აცნობებს არასრულწლოვნის განრიდების თაობაზე, პრობაციის ბიუროს უფროსი საქმეში ჩართავს სოციალური მუშაკს, რომელიც ხვდება პროკურორს. სოციალური მუშაკი ახდენს არასრულწლოვნის პირველდ ბიო-ფსიქო-სოციალურ შეფასებას, იძლევა დასკვნას და ხელშეკრულების სარეკომენდაციო პირობების შეემუშავებას პროკურორთან შეხვედრიდან 5 დღის ვადაში, ხოლო სრული ბიო-ფსიქო-სოციალური შეფასების დასკვნას - 2 კვირის ვადაში. არასრულწლოვნის ბიო-ფსიქო-სოციალური დასკვნის მოსამზადებლად სოციალური მუშაკი ხვდება არასრულწლოვანს და მისი ოჯახის წევრებს<sup>34</sup>

პროკურორი, სოციალური მუშაკის რეკომენდაციების გათვალისწინებით და მასთან კონსულტაციების შემდეგ, დასკვნის მიღებიდან 10 დღის ვადაში ადგენს განრიდების ხელშეკრულების პირობებს და მის მოქმედების ვადას. ხელშეკრულების მაქსიმალური ვადა არის 12 თვე. ხელშეკრულების პირობების განსაზღვრისას

---

<sup>32</sup> საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის კომენტარები, ავტორთა კოლექტივი, თბილისი 2015, გვ 354.

<sup>33</sup> საქართველოს სასჯელაღსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების საკითხთა მინისტრის 2011 წლის 22 თებერვლის ბრძანება N29, განრიდების ან/და განრიდებისა და მედიაციის შესახებ ხელშეკრულების მომზადება-შესრულების პროცესში მუშაკის როლისა და საქმიანობის წესის დამტკიცების თაობაზე, მუხლი მე-3.

<sup>34</sup> მ.შალიკაშვილი, განრიდების და მედიაციის სისხლისსამართლებრივი, კრიმინოლოგიური და ფსიქოლოგიური ასპექტი, თბილისი, 2013 წ. გვ 56.

მხედველობაში მიიღება არასრულწლოვნის უნარები, შეხედულებები, შესაძლებლობები, ინტერესები, პიროვნული მისწრაფებები, რისკები. პირობების განსაზღვრას მხარეები უნდა მოეკიდნონ სიფრთხილით. არასრულწლოვნისთვის არ უნდა მოხდეს მხოლოდ სასურველი სერვისების შეთავაზება, რადგან ეს შეიძლება გახდეს ახალი დანაშაულის ჩადენის წახალისების მიზეზი. შერჩეული ვალდებულებები არ უნდა იწვევდეს მის მოწყვეტას ძირითადი საქმიანობიდან და უნდა ეხმარებოდეს ჩადენილი ქმედების უკეთ გაცნობიერებაში. ასევე ხელშეკრულების პირობებში არ უნდა იქნეს შეტანილი ისეთი ღონისძიებები, რაც დაკავშირებული იქნება სხვა პირების პასუხისმგებლობასთან.<sup>35</sup> ხელშეკრულების ვადა და პროცედურა განისაზღვრება „დანაშაულის პრევენციის ცენტრის“ დირექტორის ბრძანებით.

ხელშეკრულებაში მითითებული უნდა იყოს:

- ა) ხელშეკრულების მოქმედების ვადა;
- ბ) ხელშეკრულების შედგენის დრო და თარიღი;
- გ) პროგრამაში მონაწილე პირთა მონაცემები;
- დ) ხელშეკრულების პირობების შესრულების ადგილი (მუნიციპალიტეტი)
- ე) მითითება იმის თაობაზე, რომ არასრულწლოვანი აღიარებს დანაშაულს;
- ვ) განრიდების ღონისძიების სახე და პირობები;

---

<sup>35</sup> საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის კომენტარები, ავტორთა კოლექტივი, თბილისი 2015, გვ 354.

ზ) ვალდებულების შესრულების სამართლებრივი შედეგი და ხელშეკრულების შეწყვეტისა და შეჩერების საფუძვლები

სოციალური მუშაკი ასევე ახორციელებს არასრულწლოვნის მიერ განრიდებისა და მედიაციის ხელშეკრულების პირობების შესრულების მონიტორინგს ხელშეკრულების დასრულებამდე. სოციალური მუშაკი პროკურორს თვეში ერთხელ წარუდგენს ანგარიშს არასრულწლოვნის მიერ ხელშეკრულების პირობების შესრულების შესახებ. თუ არასრულწლოვანი ყოველგვარი ობიექტური მიზეზების გარეშე არ ასრულებს ხელშეკრულების პირობებს, სოციალური მუშაკი ვალდებულია ამის თაობაზე აცნობოს პრობაციის ბიუროს უფროსს და პროკურორს. სოციალური მუშაკი განრიდებისა და მედიაციის ხელშეკრულების დასრულებიდან 5 დღის ვადაში წარუდგენს საბოლოო ანგარიშს.<sup>36</sup>

თუ ხელშეკრულების მოქმედების განმავლობაში არასრულწლოვანი კეთილსინდისიერად ასრულებს მის პირობებს, ხელშეკრულების ვადის გასვლის შემდეგ პროკურორი იღებს გადაწყვეტილებას სისხლის სამართლის საქმის გამოძიების შეწყვეტის შესახებ. ასევე, თუ ხელშეკრულების მოქმედების მსვლელობისას ადგილი აქვს არასრულწლოვნის მიერ ხელშეკრულების პირობების უხემ დარღვევას, სოციალური მუშაკი ამის შესახებ აცნობებს პროკურორს. აღნიშნულისა და სხვა გარემოებების გათვალისწინებით არასრულწლოვანთან (მის კანონიერ წარმომადგენელთან) საუბრის შემდეგ, პროკურორი უფლებამოსილია

---

<sup>36</sup> მ.შალიკაშვილი, განრიდების და მედიაციის სისხლისსამართლებრივი, კრიმინოლოგიური და ფსიქოლოგიური ასპექტი, თბილისი, 2013 წ. გვ 56.

მიიღოს გადაწყვეტილება სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყების ან განახლების შესახებ.<sup>37</sup>

განრიდებისა და მედიაციის შემთხვევაში მედიაციის პროცესს წარმართავს მედიატორი, რომლის მიზანია მათი შერიგება, მედიატორის შერჩევას უზრუნველყოფს სოციალური მუშაკი, რომელიც მხარეებს შესაძლებლობას აძლევს თავად აირჩიონ მათთვის ყველაზე მისაღები მედიატორი. მხარეებსა და მედიატორს შორის არ უნდა არსებობდეს ნათესაური, მეგობრული ან პროფესიული კავშირი.

მედიატორი არის მიუკერძოებელი და დამოუკიდებელი მესამე მხარე, სათანადო კვალიფიკაციის მქონე პირი, რომელიც არასრულწლოვანსა და საზარალეზულს შორის შუამავლის როლს ასრულებს, წარმართავს და კოორდინაციას უწევს მედიაციის პროცესს.<sup>38</sup> მედიატორი მაშინ არის მიუკერძოებელი და დამოუკიდებელი, თუ იგი ფინანსურად და ინსტიტუციურად რომელიმე მხარეს არ წარმოადგენს და საქმისადმი პირადი ინტერესი არ გააჩნია. მედიატორი არა მარტო კომუნიკაბელური პიროვნება უნდა იყოს, არამედ იმ სფეროში, რომელიშიც იგი მედიაციას ახორციელებს, უნდა გააჩნდეს საკმარისი საკანონმდებლო ნორმების ცოდნა.<sup>39</sup>

მედიაციის პროცესი შედგება სამი ძირითადი ეტაპისგან: მოსამზადებელი ეტაპი; წინასაკონფერენციო ეტაპი და მედიაციის კონფერენცია.

მოსამზადებელ ეტაპზე მედიატორი ხვდება დაზარალეზულს, განუმარტავს მედიაციის არსს და მიზნებს, განუმარტავს პროგრამის დადებით მხარეებს და

<sup>37</sup> საქართველოს იუსტიციის მინისტრის ბრძანება N216 განრიდება და მედიაციის შესახებ პროკურორისთვის სახელმძღვანელო მითითებებისა და მხარეებს შორის გასაფორმებელი ხელშეკრულების ძირითადი პირობების დამტკიცების თაობაზე.

<sup>38</sup> არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსი, მე-3 მუხლი, მე-10 ნაწილი.

<sup>39</sup> მ.შალიკაშვილი, განრიდების და მედიაციის სისხლისსამართლებრივი, კრიმინოლოგიური და ფსიქოლოგიური ასპექტი, თბილისი, 2013 წ. გვ 60.

სთავაზობს პროგრამაში მონაწილეობას. მედიატორი ასევე არკვევს დაზარალებულის პოზიციას მედიაციაში მონაწილეობის შესახებ. თუ დაზარალებული არ არის თანახმა მედიაციაში მონაწილეობაზე, პროცესი შემდეგ ეტაპზე აღარ გადავა.

წინასაკონფერენციო ეტაპზე მედიატორი ხვდება როგორც დაზარალებულს, ასევე არასრულწლოვანს და მის კანონიერ წარმომადგენელს. იგი ისმენს ორივე მხარის პოზიციას ზიანის ანაზღაურების ფორმასთან დაკავშირებით და ათანხმებს, ზიანი უნდა ანაზღაურდეს ფულადი კომპენსაციით თუ სხვა ვალდებულების შესრულების გზით. თუ დაზარალებული აღნიშნულ ეტაპზე განაცხადებს უარს მედიაციაზე მონაწილეობაზე, მედიაციის პროცესი წყდება.

დასკვნის ეტაპზე იმართება მედიაციის კონფერენცია, ანუ შეხვედრა, რომელსაც მართავს მედიატორი. კონფერენციაში მონაწილეს დაზარალებული, არასრულწლოვანი, მისი კანონიერი წარმომადგენელი, პროკურორი, სოციალური მუშაკი. კონფერენციაში მონაწილე ყველა პირს აქვს შესაძლებლობა გამოხატოს საკუთარი აზრი ჩადენილი ქმედების შესახებ და შეაფასოს მისგან გამოწვეული შედეგები. კონფერენციაზე დეტალურად განიხილება არასრულწლოვნის მიერ შესასრულებელი პირობები და არასრულწლოვანს განემარტება მისი შეუსრულებლობის შედეგები.<sup>40</sup>

მედიაციის დასასრულს იდება ხელშეკრულება, რომელშიც აისახება მიყენებული ზიანის ანაზღაურების ფორმა და მხარეთა უფლება მოვალეობები. ხელშეკრულების პირობები ერთნაირად გასაგები უნდა იყოს ყველასთვის და უნდა ეთანხმებოდეს მედიაციაში მონაწილე ყველა პირი და არასრულწლოვანი.

---

<sup>40</sup> საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის კომენტარები, ავტორთა კოლექტივი, თბილისი 2015 გვ 355.

სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის მიხედვით, მედიაცია გამოიყენება მხოლოდ კანონთან კონფლიქტში მყოფ არასრულწლოვანი (14 – დან 18 წლამდე) პირების მიმართ, მაგრამ სრულწლოვანი პირების მედიაციის შესახებ სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობაში არაფერია ნათქვამი. საინტერესოა, რატომ არ გამოიყენება მედიაცია სრულწლოვან პირებში, მაშინ როდესაც ეს ინსტიტუტი ხელს შეუწყობდა ისეთი პრობლემების მოგვარებას, როგორცაა მაგალითად, გადატვირთული სასამართლოები .

მედიაციის შემთხვევაში სისხლისსამართლებრივი დავის მოგვარება შესაძლებელი იქნება უფრო ნაკლები დროის ვადაში, ვიდრე ეს ხდება სასამართლოს შემთხვევაში, არ იქნება მოწმეების გამოცხადების საჭიროება. მედიაცია სრულწლოვან პირებში დადებითად იმოქმედებს როდესაც, დამნაშავეზე ცდილობას შეურიგდეს დაზარალებულს და აუნაზღაუროს მიყენებული ზიანი დიდწილად. მედიაციის პოლიტიკა ხელს შეუწყობს მის რესოციალიზაციას, დანაშაულის გაანალიზებას და ახალი დანაშაულის თავიდან აცილებას.

ასევე ძალიან მნიშვნელოვანია მედიაცია სრულწლოვან პირებში დაზარალებულის ინტერესების დასაცავად და დანაშაულებრივი ქმედების შედეგად მიყენებული ზიანის ასანაზღაურებლად. მედიაციაში მონაწილეობის მისაღებად დაზარალებული შეძლებს იმ მორალური ბარიერების და პრობლემების გადალახვას, რაც მას გაუჩნდა დანაშაულებრივი ქმედების შედეგად.

ჩემი აზრით, აღნიშნული პრობლემების როგორც საკანონმდებლო, ასევე პრაქტიკულ დონეზე გადასაჭრელად საჭიროა საქართველოში აღდგენითი მართლმსაჯულების გაფართოება სისხლისსამართლებრივი მედიაციის სახით, რომელიც გავრცელდება როგორც არასრულწლოვან, ასევე სრულწლოვან პირებზე. შესაძლებელია დაკვირვების მიზნით თავდაპირველად განხილული იქნეს მედიაცია სისხლის



სამართალში, როგორც საპილოტე პროგრამა, რომელიც გავრცელდება იმ სრულწლოვან პირებზე, რომლებმაც ჩაიდინეს ნაკლებად მძიმე კატეგორიის დანაშაული.

შეგვიძლია მაგალითად მოვიყვანოთ გერმანიის სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობა, რომლის თანახმად მედიაცია ვრცელდება როგორც არასრულწლოვან, ასევე სრულწლოვან პირებზე. გერმანიაში მედიაცია სისხლის სამართლის პროცესში მიიღეს 1990 წელს, რომელიც ვრცელდებოდა მხოლოდ არასრულწლოვან პირებზე. 1994 წელს კი გერმანიის სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 46a მუხლში შევიდა ცვლილება, რის მიხედვითაც მედიაცია სრულწლოვან პირებზეც ვრცელდება.<sup>41</sup>

გერმანიის სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 46a მუხლის თანახმად, თუ სამართალდამრღვევი ცდილობს ბოლომდე შეურიგდეს დაზარალებულს, ასევე სრული ან დიდი ნაწილი აუნაზღაურა მას თავისი ქმედებით მიყენებული ზიანი, ან გულწრფელად შეეცადა მოეხდინა რესტიტუცია; ან იმ შემთხვევაში, თუ ქმედებით მიყენებული ზიანის რესტიტუცია მისგან მნიშვნელოვანი პირადი სამსახურის გაწევს ან პირად მსხვერპლს მოითხოვს, სრულად ან მნიშვნელოვანწილად აუნაზღაურა ზიანი დაზარალებულს ასეთ შემთხვევაში სასამართლო უფლებამოსილია შეამსუბუქოს სასჯელი 49-ე მუხლის შესაბამისად, ან გასცეს განთავისუფლების ბრძანება, ან სამართალდამრღვევს შეუფარდოს ერთ წლამდე ვადით თავისუფლების აღკვეთა, ან ჯარიმა 360 დღიურ ერთეულზე მეტი ოდენობით.<sup>42</sup>

---

<sup>41</sup> У.Б. Филатова, А.С. Архипкина, С.Ю. Некрасов, И.В. Архипкин, ПРАВОВОЙ ОПЫТ ПРОТИВОДЕЙСТВИЯ ПРЕСТУПНОСТИ В ЗАРУБЕЖНОЙ И НАЦИОНАЛЬНОЙ СИСТЕМАХ ПРАВА

<sup>42</sup> German criminal code, 13 November, 1998, Section 46a

განრიდება წარმოადგენს სრულწლოვანი პირის სისხლისსამართლებრივი დევნის ალტერნატიულ მექანიზმს, რომელიც რეგულირდება საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 168<sup>1</sup>-ე და 168<sup>2</sup>-ე მუხლებით. განრიდება გამოიყენება ნაკლებად მძიმე ან მძიმე კატეგორიის დანაშაულის ჩამდენი პირის მიმართ, სისხლის სამართლის საქმის მსვლელობის ნებისმიერ ეტაპზე, სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყებამდე, სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყების შემდეგ ან საქმის სასამართლოში წარმართვის შემდგომაც.

სრულწლოვან პირს უფლება აქვს ისარგებლოს განრიდების პროგრამაში მონაწილეობით, მიუხედავად იმისა, იყო თუ არა ის ადრე განრიდების სუბიექტი.

განრიდება არ გამოიყენება იმ სრულწლოვან პირებზე, რომლებსაც ჩადენილი აქვთ შემდეგი დანაშაულები : ადამიანით ვაჭრობა (ტრეფიკინგი) სსკ-ის 143<sup>1</sup>-ე მუხლი; არასრულწლოვნით ვაჭრობა (ტრეფიკინგი) სსკ-ის 143<sup>2</sup>-ე მუხლი; ადამიანით ვაჭრობის მსხვერპლის მომსახურებით სარგებლობა სსკ 143<sup>3</sup>-ე მუხლი; მძევლად ხელში ჩაგდება სსკ-ის 144-ე მუხლი; წამება სსკ-ის 144<sup>1</sup>-ე მუხლი; წამების მუქარა 144<sup>2</sup>-ე მუხლი; დამამცირებელი და არაადამიანური მოპყრობა სსკ-ის 144<sup>3</sup>-ე მუხლი. აგრეთვე სისხლის სამართლის პოლიტიკის სახელმძღვანელო პრინციპებით განსაზღვრულ დანაშაულთა საქმეებზე.<sup>43</sup>

განრიდების სუბიექტი, ანუ დანაშაულის ჩამდენი სრულწლოვანი პირი, ვალდებულია, შეასრულოს ჩამოთვლილთაგან ერთი ან რამდენიმე პირობა :

ა) უკანონოდ მოპოვებული ქონების სახელმწიფოსთვის გადაცემა ან ამ ქონების ღირებულების ანაზღაურება;

---

<sup>43</sup> საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი, 168<sup>1</sup>-ე მუხლი

ბ) დანაშაულის იარაღის ან/და სამოქალაქო ბრუნვიდან ამოღებული ობიექტის სახელმწიფოსთვის გადაცემა;

გ) მისი ქმედების შედეგად მიყენებული ზიანის სრული ან ნაწილობრივი ანაზღაურება;

დ) სახელწიფო ბიუჯეტის სასარგებლოდ ფულადი თანხის გადახდა, რომლის მინიმალური ოდენობაა 500 ლარი;

ე) საზოგადოებისთვის სასარგებლო უსასყიდლო სამუშაოს შესრულება 40 საათიდან 400 საათამდე;

ვ) ოჯახური დანაშაულის შემთხვევაში - ძალადობრივი დამოკიდებულებისა და ქცევის შეცვლაზე ორიენტირებული სწავლების კურსის გავლა.

თუ განრიდების სუბიექტი არ შეასრულებს განრიდების პირობებს, პროკურორს უფლება აქვს დაიწყოს ან განაახლოს სისხლისსამართლებრივი დევნა.<sup>44</sup>

განრიდება არ გამოიყენება იმ ბრალდებულის მიმართ, რომელსაც აღკვეთის ღონისძიების სახით პატიმრობა აქვს შეფარდებული .

პირს, ანუ განრიდების სუბიექტს პროკურორი განრიდებას სთავაზობს წერილობითი ფორმით, ასევე პროკურორმა განრიდების სუბიექტს უნდა განუმარტოს მისი უფლებები და აცნობოს რომ განრიდება არის ნებაყოფლობითი. პროკურორი განრიდების შესახებ გადაწყვეტილების მიღებამდე კონსულტაციას გადის დაზარალებულთან, რომელსაც ხვდება პირადად და განუმარტავს განრიდების გამოყენების მიზეზებს. ბრალდებულის საწინააღმდეგო პოზოცია არ დააბრკოლებს

---

<sup>44</sup> საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი, 168<sup>1</sup>-ე მუხლი

პროკურორის მიერ განრიდების გამოყენებას, თუმცა შეიძლება მისმა მოსაზრებამ გავლენა მოახდინოს პროკურორის გადაწყვეტილებაზე. დაზარალებულთან კონსულტაციის გავლისას პროკურორმა უნდა შეადგინოს ოქმი, რომელშიც ასახული უნდა იყოს კონსულტაციის პროცესი და დაზარალებულის პოზიცია. ოქმს ხელს აწერს პროკურორი, დაზარალებული და ყველა ის პირი, რომელიც ესწრებოდა კონსულტაციის პროცესს. თუ მხარეები შეთანხმდებიან განრიდების პირობებზე, პროკურორი ადგენს განრიდების შეთავაზების ოქმს, რომელშიც მოცემული უნდა იყოს განრიდების სუბიექტის მიერ ჩადენილი დანაშაულის აღწერა სისხლის სამართლის პროცესის შესაბამისი მუხლის მითითებით, განრიდების პირობები, პირობების შესრულების დრო, ადგილი და საშუალება.<sup>45</sup>

ახლა კი მოდით გადავხედოთ სტატისტიკას, განრიდების პროგრამასთან დაკავშირებულ მონაცემებს საქართველოში წლებისა და კატეგორიების მიხედვით: 2012 წელის განმავლობაში განრიდებული იქნა 125 კანონთან კონფლიქტში მყოფი არასრულწლოვანი, 2013 წლის განმავლობაში 332 არასრულწლოვნის მიმართ იქნა გამოყენებული განრიდება, 2014 წელს - 204 არასრულწლოვნის მიმართ, 2015 წელს კი 297 არასრულწლოვნის მიმართ. 2016 წელს განრიდების პროგრამა გამოყენებული იქნა 426 არასრულწლოვნის და 332 სრულწლოვნის (18 - დან 21 წლამდე) მიმართ, 2017 წელს 476 არასრულწლოვნის და 432 სრულწლოვნის მიმართ, 2018 წელს 497 არასრულწლოვნის და 401 სრულწლოვნის მიმართ, ხოლო 2019 წელს 437 არასრულწლოვნის და 362 სრულწლოვნის მიმართ იქნა გამოყენებული განრიდების პროგრამა. ( იხ. ნარატი N1). 2020 წლის განმავლობაში განრიდებული იქნა 534 პირი, აქედან 298 არასრულწლოვანი (14-დან 18 წლამდე) და 236 სრულწლოვანი (18 დან 21 წლამდე). აქედან 218 პირის მიმართ გამოყენებული იქნა მედიაცია და შედგა 181

---

<sup>45</sup> საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის კომენტარები, 2015 წლის 1 ოქტომბრის მდგომარეობით, ავტორთა კოლექტივი, თბილისი, 2015წ. გვ 491.

მედიაციის საერთო შეხვედრა, მათგან 57 პირისპირ და 124 დისტანციური მედიაციის საერთო შეხვედრა. ხოლო 2010 წლიდან 2020 წლია ჩათვლით, საერთო ჯამში იქნა 4965, 21 წლის ასაკამდე პირი. დანაშაულთა და ასაკობრივი კატეგორიის მიხედვით 2020 წლის განმავლობაში ნაკლებად მძიმე დანაშაულთა კატეგორიაში განრიდებული იქნა 177 არასრულწლოვანი (14-დან 18 წლამდე) და 184 სრულწლოვანი (18 - დან 21 წლამდე). მძიმე დანაშაულთა კატეგორიაში განრიდებული იქნა 121 არასრულწლოვანი (14 - დან 18 წლამდე) და 52 სრულწლოვანი (18 - დან 21 წლამდე). (იხ. დანართი N2)<sup>46</sup>

ბოლო წლების სტატისტიკას თუ გადავხედავთ მივხვდებით, რომ მაჩვენებელი ასე თუ ისე მზარდია და დაბლა არ იწევს, ეს კი იმას ნიშნავს რომ აღნიშნული პროგრამა, როგორც სისხლისსამართლებრივი დევნის ალტერნატიული მექანიზმი ეფექტურად გამოიყენება და დამნაშავეების ჩართულობაც მაღალია აღნიშნულ პროგრამაში. ეს ყოველივე კი დადებითად აისახება დამნაშავეის რესოციალიზაცია - რეაბილიტაციის პროცესებთან და დანაშაულის რეციდივის შემცირებასთან. რაც უფრო მაღალი იქნება დამნაშავეების ჩართულობა აღნიშნულ პროგრამებში, მით უფრო დაბალი იქნება განმეორებითი დანაშაულის რისკი, რადგან დამნაშავეისთვის აღდგენითი მართლმსაჯულება ერთგვარი ბიძგია ცხოვრების სუფთა ფურცლიდან დასაწყებად.

ამრიგად, სტატისტიკაზე დაყრდნობით შეგვიძლია ვიმსჯელოთ, რომ აღდგენით მართლმსაჯულებას სისხლის სამართლიში, აქვს მომავალში განვითარების საკმაოდ წარმატებული პერსპექტივა.

---

<sup>46</sup> Ganrideba.ge მოძიებულია <http://www.ganrideba.ge/res/files/52/Diversion%20Report%202020.pdf>  
14.06.2021წ; 00:06 სთ.

## §2. განრიდების და მედიაციის პრინციპები

განრიდება და მედიაცია მოიცავს ექვს მთავარ პრინციპს:

- ა) ალტერნატიული მექანიზმის გამოყენების მაქსიმალური ხელშეწყობა;
- ბ) ნებაყოფლობითობა;
- გ) პროპორციულობა;
- დ) კონფიდენციალურობა;
- ე) სტიგმატიზაციის დაუშვებლობა;
- ვ) არასრულწლოვნის ჭეშმარიტი ინტერესის გათვალისწინება.

საქართველოს იუსტიციის მინისტრის 2016 წლის 1 თებერვლის ბრძანებაში განმარტებულია ალტერნატიული მექანიზმის გამოყენების მაქსიმალური ხელშეწყობის პრინციპი - არასრულწლოვნის საუკეთესო ინტერესებისა და მართლმსაჯულების საერთაშორისო სტანდარტების გათვალისწინებით სისხლისსამართლებრივი დევნისა და საპატიმრო ღონისძიებების ალტერნატივების გამოყენება მაქსიმალურად ხშირად უნდა მოხდეს. თუ არასრულწლოვანმა ჩაიდინა ნაკლებად მძიმე ან მძიმე დანაშაული, პრიორიტეტი უნდა მიენიჭოს სისხლის სამართლის სისტემისგან მის განრიდებას.<sup>47</sup>

---

<sup>47</sup> საქართველოს იუსტიციის მინისტრის 2016 წლის 01 თებერვლის ბრძანება N120, დანართი, მუხლი 3, „ა“ ქვეპუნქტი.

**ნებაყოფლობითობა** - განრიდების/განრიდების და მედიაციაში მონაწილეობა არის ნებაყოფლობითი გადაწყვეტილება, რა დროსაც არასრულწლოვანი აღიარებს დანაშაულს. დაუშვებელია მხარეებზე ზეგავლენა ულებით მონაწილეობის მიზნით. მხარეები უფლებამოწილნი არიან, სისხლის სამართლის პროცესის ნებისმიერ სტადიაზე, უარი განაცხადონ განრიდების/განრიდება და მედიაციის პროცესში მონაწილეობაზე.<sup>48</sup>

როდესაც საუბარია განრიდებასა და მედიაციაზე, მედიატორი ვალდებულია დაადგინოს მხარეებს სურთ თუ არა პროცესში მონაწილეობა, მათ არჩევანი თავად უნდა გააკეთონ, მიიღონ თუ არა მონაწილეობა მათ შორის წარმოქმნილი კონფლიქტის მოგვარებაში და ეს არჩევანი უნდა იყოს ნებაყოფლობითი. არ შეიძლება არასრულწლოვანს დააძალო პროცესში მონაწილეობა, რადგან ეს ცდება განრიდებისა და მედიაციის ძირითად მიზანს, რაც წარმოადგენს დანაშაულის აღიარებას, დამნაშავის რესოციალიზაცია - რეაბილიტაციას, საკუთარი მართლსაწინააღმდეგო ქმედების გააზრებას და გამოსწორებას, სინანულსა და ბოდიშის მოხდას.

მედიატორის, ფსიქოლოგ ნატა ზაზაშვილის აზრით: „ნებაყოფლობითობა მნიშვნელოვანი პრიმციპია, ვინაიდან ფსიქოლოგიური თვალსაზრისით, ხელს უწყობს მოზარდს არჩევანი გააკეთოს, მას შეუძლია უარი თქვას პროგრამაში მონაწილეობაზე და მისი საქმე გადაეცეს სასამართლოს, სადაც მას ექნება შესაძლებლობა თავისი უდანაშაულობა დაამტკიცოს, ნებაყოფლობითი არჩევანის გაკეთება ნიშნავს მოზარდის მიერ მოწიფული ნაბიჯის გადადგმას.“<sup>49</sup>

---

<sup>48</sup> საქართველოს იუსტიციის მინისტრის 2016 წლის 01 თებერვლის ბრძანება N120, დანართი, მუხლი3, „ბ“ ქვეპუნქტი.

<sup>49</sup> მ.შალიკაშვილი, განრიდების და მედიაციის სისხლისსამართლებრივი , კრიმინოლოგიური და ფსიქოლოგიური ასპექტი, თბილისი, 2013 წ. გვ 32.

ასევე მნიშვნელოვანია, დაზარალებულსაც გააჩნდეს შერიგების სურვილი, ამის მიზეზი შეიძლება იყოს მატერიალური ზარალის ანაზღაურება. ამით დაზარალებული თავს აარიდებს სამოქალაქო წესით ზარალის ანაზღაურების პროცედურებს. კრიმინოლოგიურმა გამოკითხვამ დაადგინა, რომ დაზარალებულთა 92% მზად არის შეურიგდეს დამნაშავეს, თუ მას აუნაზღაურდება მიყენებული ზარალი.<sup>50</sup>

**პროპორციულობა** - განრიდების ღონისძიება უნდა იყოს ჩადენილი ქმედების პროპორციული. პროპორციული ღონისძიების განსაზღვრისას გათვალისწინებული უნდა იქნეს არასრულწლოვნის ასაკი და სხვა მახასიათებლები, ასევე ჩადენილი დანაშაულის ბუნება, სიმძიმე, მიყენებული ზიანი და გავლენა საზოგადოებაზე.<sup>51</sup>

პროპორციულობის პრინციპის გამოყენებისას აუცილებელია დადგინდეს რომ:

- 1) ჩარევა ემსახურება ლეგიტიმურ მიზანს;
- 2) ჩარევა უნდა იყოს ეფექტიანი დადგენილი ლეგიტიმური მიზნის მისაღწევად - აღნიშნული პირობა დაკმაყოფილებულია, როდესაც მიზნის მიღწევა თუნდაც თეორიულად არის შესაძლებელი;
- 3) ჩარევის ფორმა და ინტენსივობა უნდა იყოს აუცილებელი ლეგიტიმური მიზნის მისაღწევად - ჩარევა გამართლებულია მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ არ არსებობს შედარებით ზომიერი საშუალება, რომელიც ისეთივე ეფექტური იქნებოდა მიზნის მისაღწევად;

---

<sup>50</sup> მ.შალიკაშვილი, განრიდების და მედიაციის სისხლისამართლებრივი, კრიმინოლოგიური და ფსიქოლოგიური ასპექტი, თბილისი, 2013 წ. გვ 33.

<sup>51</sup> საქართველოს იუსტიციის მინისტრის 2016 წლის 01 თებერვლის ბრძანება N120, დანართი, მუხლი3, „გ“ ქვეპუნქტი.



4) ჩარევა უნდა იყოს ლეგიტიმური მიზნის შესაბამისი.<sup>52</sup>

პროპორციულობის დაცვა იმისთვის არის აუცილებელი, რომ დამნაშავეს მიმართ გამოყენებული სადამსჯელო ღონისძიება იყოს სამართლიანი და დამნაშავეს აე გაუჩნდეს უსამართლობის და უკმაყოფილების განცდა სამართალდამცავი ორგანოების და სახელმწიფოს მიმართ. განრიდების ან/და განრიდებისა და მედიაციის ხელშეკრულების პირობები არ უნდა იყოს არასრულწლოვნისთვის პატივისა და ღირსების შემლახავი, რადგან მოზარდის სახელწიფო ორგანოების უარყოფითი დამოკიდებულება უბიძგებს, რომ დამნაშავედ ან ქვეყნის პასიურ მოქალაქედ ჩამოყალიბდეს.

განრიდებისა და მედიაციის შემდეგი პრინციპი არის **კონფიდენციალურობა**. იუსტიციის მინისტრის N216 ბრძანების მიხედვით, განრიდებისა/ განრიდებისა და მედიაციის პროცესში მიღებული ნებისმიერი ინფორმაცია კონფიდენციალურია და თუ მხარეები სხვაგვარად არ შეთანხმდნენ ან თუ კანონმდებლობით სხვა წესი არ არის განსაზღვრული დაუშვებელია მისი გამჟღავნება.<sup>53</sup>

კონფიდენციალურობის პრინციპი ზოგადად არასრულწლოვანთა მართლმსაჯულებისთვის დამახასიათებელი პრინციპია, იგი ასახულია როგორც საერთაშორისო სამართლებრივ აქტებში, ასევე საქართველოს სისხლის სამართლის

---

<sup>52</sup> მ.შალიკაშვილი, განრიდების და მედიაციის სისხლისსამართლებრივი , კრიმინოლოგიური და ფსიქოლოგიური ასპექტი, თბილისი, 2013 წ. გვ 75.

<sup>53</sup> საქართველოს იუსტიციის მინისტრის 2016 წლის 01 თებერვლის ბრძანება N120, დანართი, მუხლი3, „დ“ ქვეპუნქტი.

საპროცესო კოდექსში, არასრულწლოვანი ბრალდებულის დასწრების შემთხვევაში სასამართლო სხდომა დახურულად ტარდება.

კონფიდენციალურობის დაცვა, პირველ რიგში ემსახურება პირის საზოგადოებაში მათ უმტკივნეულო რესოციალიზაციას. ნებისმიერ საზოგადოებაში, მათ შორის საქართველოში, არსებობს სტიგმა ნასამართლეს ადამიანების მიმართ, რაც ხელს უშლის ყოფილ პატიმრებს, პრობაციონერებს საზოგადოებასი რეინტეგრაციასი, განრიდებისა და მედიაციის პროგრამა კი საშუალება იძლევის მოზარდის ბიოგრაფიაში არსად არ იყოს დაფიქსირებული მისი ცხოვრების ეს ეპიზოდი<sup>54</sup>

**სტიგმატიზაციის დაუშვებლობა** - შეფარდებული ღონისძიება არ უნდა იწვევდეს არასრულწლოვნის სტიგმატიზაციას, მის მოწყვეტას ნორმალური სასწავლო პროცესისგან და არ უნდა ახდენდეს განსაკუთრებულ ზეგავლენას მისი ცხოვრების ჩვეულ რიტმზე<sup>55</sup>

სტიგმა არის ნეგატიური ნიშანი, რომელიც პიროვნების ღრმა დისკრედიტაციას იწვევს, გამოარჩევს მას საზოგადოებისგან, იწვევს პიროვნულ გაუფასურებას და ისე ამცირებს მას სხვების თვალში, რომ სრულფასოვანი პიროვნების ნაცვლად, არასრულფასოვან, შელახურ და „ბინძურ“ ინდივიდად გამოიყურება.<sup>56</sup> სტიგმატიზაცია ხელს უშლის არასრულწლოვნის რესოციალიზაციას და ზრდის მის მიერ ჩადენილი დანაშაულის განმეორებითი ჩადენის რისკს, სწორედ ამიტომ

---

<sup>54</sup> მ.შალიკაშვილი, განრიდების და მედიაციის სისხლისსამართლებრივი , კრიმინოლოგიური და ფსიქოლოგიური ასპექტი, თბილისი, 2013 წ. გვ 40.

<sup>55</sup> საქართველოს იუსტიციის მინისტრის 2016 წლის 01 თებერვლის ბრძანება N120, დანართი, მუხლი3, „ე“ ქვეპუნქტი.

<sup>56</sup> ლექსიკონი - ცნობარი სოციალური მეცნიერებაში <http://dictionary.css.ge/>. 07.06.2021; 16:00 სთ.

სტიგმატიზაციის დაუშვებლობა არის განრიდების პროექტის ერთ-ერთი უმთავრესი მიზანი.

არასრულწლოვნის საუკეთესო ინტერესების გათვალისწინება, პროკურორიე გადაწყვეტილება უნდა ეფუძნებოდეს არასრულწლოვნის საუკეთესო ინტერესებს, რა დროსაც ფასდება განრიდების/განრიდებისა და მედიაციის პროგრამაში არასრულწლოვნის ჩართვის შესაძლო შედეგები, მათ შორის, ახალი დანაშაულის ჩადენის რისკი.<sup>57</sup> მოცემული პრონციპი ასევე ძალიან მნიშვნელოვან პრონციპს წარმოადგენს, რომლის მიხედვითაც უნდა განისაზღვროს თუ რამდენად მიზანშეწოლილია არასრულწლოვნის განრიდება და რამდენად შედეგის მომცემი იქნება ეს მისთვის, შეძლებს თუ არა რესოციალიზაციას საზოგადოებაში და უნდა შეფასდეს როგორია განმეორებითი დანაშაულის რისკი.

#### თავი 4. აღდგენითი მართლმსაჯულების ფორმები

##### საზღვარგარეთის ქვეყნებში

###### §1. აღდგენითი მართლმსაჯულება აშშ - ში

აშშ - ში პირველ წლებში მედიაციაზე იგზავნებოდა არასრულწლოვან დამნაშავეთა მიერ ჩადენილი მცირე სიმძიმის დანაშაულები, უკანასკნელ პერიოდში კი სულ უფრო მჟღავნდება სხვაგვარი ტენდენცია: მედიაციაზე სულ უფრო და უფრო ხშირად იგზავნება მასალები უფრო მძიმე დანაშაულებების შესახებ ან ჩადენილი ზრდასრული დამნაშავეების მიე. მაგ., ოჰაიოს შტატში კანონმდებლობით არის

<sup>57</sup> საქართველოს იუსტიციის მინისტრის 2016 წლის 01 თებერვლის ბრძანება N120, დანართი, მუხლი 3, „ე“ ქვეპუნქტი.

გამყარებული შემდეგი მდგომარეობა: „... ნებისმიერი სისხლის სამართლის პროცესში მხარეებსა და სასამართლოს შეუძლიათ მიმართონ მედიაციას, სისხლის სამართლის საქმის ყველა ან ზოგიერთ საკითხთან დაკავშირებით“. „ მედიაციამე შესაძლოა გაგზავნილი იქნეს სისხლის სამართლის საქმეები, თუ სასამართლო მიიჩნევს, რომ შუამდგომლობა შიძლება იყოს წარმატებული...“.ამასთანავე, უნდა აღინიშნოს, რომ ზემოაღნიშნული ნორმა ვრცელდება, როგორც არასრულწლოვან, ასევე ზრდასრულ დამნაშავეებზე. ჩრდილოეთ კაროლინის კანონმდებლობათა კრებულში აღნიშნულია ნორმა, რომლის მიხედვითაც, გენერალური ანსამბლეა მიიჩნევს, რომ შუამავლობის დანერგვა სამხარეო სისხლის სამართლოში შედის საზოგადოების ინტერესში. ამისთვის სამხარეო სასამართლოებში იქმნება შუამავლობის სერტიფიცირებული პროგრამები. მოსამართლეები და სამხარეო პროკურორები ვალდებულნი არიან ნებისმიერ სისხლის სამართლის საქმეზე ხელი შეუწყონ საშუამავლო პროცედურებს, თუკი ასეთი პროცედურებისგან სარგებელს ხედავენ.<sup>58</sup>

გარდა ზამოაღნიშნულისა, ამ შტატში მოქმედებს „სამხარეო სასამართლოში განსახილველად მყოფ საქმეებზე განსახორციელებელი საშუამავლო წესები“. ამ წესების შესაბამისად სასამართლო ხელმძღვანელობს შინაგანი რწმენითა და გარეშე ფაქტორებით, როგორცაა : მხარეთა მზადყოფნა მიიღონ მონაწილეობა შესარიგებელ პროგრამაში; სასამართლო განხილვისგან უარის თქმისას არ უნდა შეილახოს მესამე პირის უფლებები, რომლებიც მონაწილეობას იღებენ პროცესში; კონკრეტულ შემთხვევაში სისხლის სამართლის საქმის შეწყვეტა მხარეთა შერიგების გამო და ა.შ.

---

<sup>58</sup> Mediation in the criminal procedure of the United States. მოპოვებულია:  
<http://www.jurvestnik.psu.ru/index.php/en/vypusk-2162012/19-2010-12-01-13-31-58/-2-16-2012/462-vasilenko-as-mediacyiya-v-ugolovnom-proczenne-ssha?fbclid=IwAR0qXmJcStyUy9lu7BWUs7hUyMBJt UgYFIPaj7AF5brYgyIBPb2GoeWoK4> 09.06.2021

შეუძლიათ რეკომენდაცია გაუწიონ მხარეებს ამ პროგრამაში მონაწილეობის მისაღებად.<sup>59</sup>

თუ მხარეები თანახმანი არიან მედიაციაში მონაწილეობაზე, სასამართლო სიტყვიერად ან წერილობითი ფორმით ატყობინებს შემდეგის თაობაზე:

1. პერიოდის შესახებ, რომელიც სასამართლოს მიერაა გამოყოფილი მედიაციისთვის;
2. მედიატორის ვინაობასა ან საშუამავლო ორგანიზაციის დასახელებას;
3. მოთხოვნას დამნაშავეზე, გადასახადის შესახებ 60 აშშ დოლარის ოდენობაზე, საშუამავლო მომსახურეობის განსახორციელებლად.

ამის შემდეგ სასამართლო გადასცემს საქმის მასალებს საშუამავლო ორგანიზაციას ან კონკრეტულ შუამავალს. შეამავალი ვალდებულია გაიაროს ტრენინგი სპეციალური პროგრამის შესაბამისად, რომელიც მოიცავს შუამავლობისთვის 24 საათიან მომზადებას. ტრენინგის დასრულების შემდეგ ტარდება საკვალიფიკაციო გამოცდა და წარმატების ჩაბარების შემთხვევაში, მედიატორს შეუძლია დაიწყოს პრაქტიკა. პროცედურის დაწყებამდე მედიატორი ვალდებულია მხარეებს განუმარტოს მათი უფლება - მოვალეობები. მედიაციის პროცესში მონაწილეობის მიღება შეუძლია: არასრულწლოვნის მშობლებსა და მეურვეებს, ადვოკატს და მესამე მხარეს, თუ მედიატორი მიიჩნევს რომ მათი დასწრება ხელს შეუწყობს მედიაციის პროცესს. მედიატორს უფლება აქვს შეზღუდოს ზემოხსენებული პირების მონაწილეობა ნებისმიერ დროს, თუ ჩათვლის, რომ მათი მონაწილეობა უარყოფითად აისახება

---

<sup>59</sup> Mediation in the criminal procedure of the United States. მოპოვებულია: [http://www.jurvestnik.psu.ru/index.php/en/vypusk-2162012/19-2010-12-01-13-31-58/-2-16-2012/462-vasilenko-as-mediაციya-v-ugolovnom-procsesse-ssha?fbclid=IwAR0qXmJcStyUy9lu7BWUs7hUyMBJt\\_UgYFIPaj7AF5brYgyIBPb2GoeWoK4](http://www.jurvestnik.psu.ru/index.php/en/vypusk-2162012/19-2010-12-01-13-31-58/-2-16-2012/462-vasilenko-as-mediაციya-v-ugolovnom-procsesse-ssha?fbclid=IwAR0qXmJcStyUy9lu7BWUs7hUyMBJt_UgYFIPaj7AF5brYgyIBPb2GoeWoK4) 09.06.2021

მედიაციის პროცესზე. მედიაციის პროცესი მიმდინარეობს კონფიდენციალურობის დაცვით. აკრძალულია მედიაციის პროცესის ნებისმიერი მონაწილის მიერ წერილობითი, აუდიო ან ვიდეო ჩანაწერების გაკეთებას. თუ მედიაციის პროცესის შედეგად მხარეები ვერ მიაღწევენ შეთანხმებას, სისხლის სამართლის საქმე უბრუნდება სასამართლოს და გრძელდება სისხლის სამართლის პროცესი. იმ შემთხვევაში, თუ მედიაციის მონაწილეები მიაღწევენ შეთანხმებას, დგება ხელშეკრულება, რომელიც მოიცავს ყველა იმ პრიობას, რომელზეც მხარეები შეთანხმდნენ.<sup>60</sup>

## §2. აღდგენითი მართლმსაჯულება გერმანიაში

როგორც უკვე ავღნიშნეთ, გერმანიაში მედიაცია სისხლის სამართლის პროცესში მიიღეს 1990 წელს, რომელიც ვრცელდებოდა მხოლოდ არასრულწლოვან პირებზე. 1994 წელს კი გერმანიის სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 46a მუხლში შევიდა ცვლილება, რის მიხედვითაც მედიაცია სრულწლოვან პირებზეც ვრცელდება.<sup>61</sup>

გერმანიის სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსით განმტკიცებულია პრინციპები, რომლებიც განსაზღვრავენ სისხლის სამართალწარმოების აგებულებას (ორგანიზაციას). 1974 წლის 2 მარტის „გფრ-ის სისხლის სამართლის კოდექსის შესავალმა კანონმა“ უფლება მიანიჭა პროკურორს - შეწყვიტოს გადაცდომათა

---

<sup>60</sup> Mediation in the criminal procedure of the United States. მოპოვებულია: [http://www.jurvestnik.psu.ru/index.php/en/vypusk-2162012/19-2010-12-01-13-31-58/-2-16-2012/462-vasilenko-as-mediacya-v-ugolovnom-proczenesse-ssha?fbclid=IwAR0qXmJcStyUy9lu7BWUs7hUyMBJt\\_UgYFIPaj7AF5brYgyIBPb2GoeWoK4](http://www.jurvestnik.psu.ru/index.php/en/vypusk-2162012/19-2010-12-01-13-31-58/-2-16-2012/462-vasilenko-as-mediacya-v-ugolovnom-proczenesse-ssha?fbclid=IwAR0qXmJcStyUy9lu7BWUs7hUyMBJt_UgYFIPaj7AF5brYgyIBPb2GoeWoK4) 09.06.2021

<sup>61</sup> У.Б. Филатова, А.С. Архипкина, С.Ю. Некрасов, И.В. Архипкин, ПРАВОВОЙ ОПЫТ ПРОТИВОДЕЙСТВИЯ ПРЕСТУПНОСТИ В ЗАРУБЕЖНОЙ И НАЦИОНАЛЬНОЙ СИСТЕМАХ ПРАВА

სისხლისსამართლებრივი საქმეების საჯარო ბრალდების აღძვრამდე, თუ ბრალდებული დადგენლ ვადაში შეასრულებს მასზე დაკისრებულ მოვალეობას. (შეიტანს განსაზღვრულ ფულად თანხას ზოგად სასარგებლო დაწესებულების ან სახელმწიფო ხაზინის ანგარისზე). აღიარებულია, რომ დაკისრებულ მოვალეობათა შესრულების იძულება არ გამორიცხავს კანონით აკრძალული მეთოდების გამოყენებას. სისხლის სამართლის პროცესში სხვადასხვა სახის სამომრიგებლო ან საშუამავლო ინსტიტუტების (ინგლისური ან ფრანგული მედიაციის მსგავსი) შემოღების საყოველთაო ტენდენციები გერმანიასაც შეეხო. მათი გამოყენების ფორმალური შესაძლებლობები ამჟამად არსებითად გაფართოებულია 1999 წლის 20 დეკემბრის სპეციალური კანონის მიღებასთან დაკავშირებით. (სსსკ 155a, 155b)<sup>62</sup>.

გერმანიის სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 155a მუხლის თანახმად, სამართალწარმოების ყველა ეტაპზე „პროკურორი და მოსამართლე ვალდებული არიან დაადგინონ შესაძლებელია თუ არა ბრალდებულსა და დაზარალებულს შორის მედიაცია. შესაძლებლობის შემთხვევაში აუცილებელია მათი შეთანხმება მედიაციის საშუალებით. შეთანხმება დაუშვებელია დაზარალებულის გამოხატული ნების საწინააღმდეგოდ.“<sup>63</sup>

ხოლო გერმანიის სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 155b მუხლი არეგულირებს მსხვერპლსა და დამნაშავეს შორის მედიაციის პროცესს, რომლის თანახმადაც, პროკურორსა და მოსამართლეს შეუძლიათ პერსონალური მონაცემების გადაცემა, დამნაშავესა და მსხვერპლის მორიგებისთვის, ან ზიანის ანაზღაურებისთვის, ოფიციალური ინიციატივის ან შუამდგომლობის საფუძველზე. ეს

---

<sup>62</sup> კ.ფ. გუცენკო. ლ.ვ. გოლოვსკო, ბ.ა. ფილიმონოვი. „დასავლეთის სახელმწიფოთა სისხლის სამართლის პროცესი“, გამომცემლობა „მერიდიანი“, თბილისი. 2007, გვ 503.

<sup>63</sup> German code of criminal procedure, 7 April 1987, Section 155a.

დოკუმენტები და მათში მოცემული ინფორმაცია შესაძლოა იქნეს გამოყენებული მხოლოდ და მხოლოდ მხარეთა შესარიგებლად და ზარალის ანაზღაურებისთვის. უფლებამოსილ მედიაციის ორგანოს აქვს უფლება გადაამუშაოს და გამოიყენოს საჭირო ინფორმაცია, რომელიც არის წარმოდგენილი მედიაციისათვის, იმ მოცულობით, რომელიც არ ეწინააღმდეგება პროცესში მონაწილე პირების ინტერესებს დამნაშავესა და მსხვერპლის შესარიგებლად ან ზიანის ანაზღაურებისთვის. მედიაციის პროცესში გამოყენებული დოკუმენტები, რომლითაც შეიცავენ პერსონალურ მონაცემებს უნდა განადგურდეს სპეციალური ორგანოს მიერ სამართალწარმოების დახურვიდან ერთი წლის შემდეგ. პროკურორი და მოსამართლე ვალდებული არიან დაუყოვნებლივ აცნობონ უფლებამოსილ ორგანოს სამართალწარმოების დახურვის თარიღის თაობაზე.<sup>64</sup>

გერმანიის სისხლის სამართლის კოდექსის 46-a მუხლში მოცემული სამართლებრივი დეფინიცია აღდგენითი მართლმსაჯულების რეგულირების ცენტრალური საკითხია, რომლის თანახმადაც, თუ სამართალდამრღვევი ცდილობს ბოლომდე შეურიგდეს დაზარალებულს, ასევე სრული ან დიდი ნაწილი აუნაზღაურა მას თავისი ქმედებით მიყენებული ზიანი, ან გულწრფელად შეეცადა მოეხდინა რესტიტუცია; ან იმ შემთხვევაში, თუ ქმედებით მიყენებული ზიანის რესტიტუცია მისგან მნიშვნელოვანი პირადი სამსახურის გაწევს ან პირად მსხვერპლს მოითხოვს, სრულად ან მნიშვნელოვანწილად აუნაზღაურა ზიანი დაზარალებულს ასეთ შემთხვევაში სასამართლო უფლებამოსილია შეამსუბუქოს სასჯელი 49-ე მუხლის შესაბამისად, ან გასცეს განთავისუფლების ბრძანება, ან სამართალდამრღვევს

---

<sup>64</sup> У.Б. Филатова, А.С. Архипкина, С.Ю. Некрасов, И.В. Архипкин, ПРАВОВОЙ ОПЫТ ПРОТИВОДЕЙСТВИЯ ПРЕСТУПНОСТИ В ЗАРУБЕЖНОЙ И НАЦИОНАЛЬНОЙ СИСТЕМАХ ПРАВА.



შეუფარდოს ერთ წლამდე ვადით თავისუფლების აღკვეთა, ან ჯარიმა 360 დღიურ ერთეულზე მეტი ოდენობით.<sup>65</sup>

დამნაშავისა და მსხვერპლის მედიაცია ემყარება აღდგენითი მართლმსაჯულების იდეას და მისი ყველაზე თვალსაჩინო განსახიერებაა. გერმანული სისხლის სამართალი აგებულია ორ პრინციპზე, სისხლის სამართლის დასჯადობის აბსოლუტური და ფარდობითი თეორია. აბსოლუტური თეორია გამომდინარეობს იქიდან, რომ დასჯადობა არის სახელმწიფოს საპასუხო ღონისძიება დანაშაულზე. ფარდობითობის თეორიის თანახმად, დასჯადობა თამაშობს ახალი დანაშაულის ჩადენის გამაფრთხილებელის როლს, დასჯადობის საშიშროებას არის შემაკავებელი ფაქტორი სხვა დანაშაულის აღმოსაფხვრელად. სახელმწიფო სასჯელის აღსრულებაზე ანხორციელებს განსაკუთრებულ მონოპოლიას, ანგარიშწორების გამოყენების შესაძლებლობას. სასჯელი ეს არის სახელმწიფოს ჩარევა მსხვერპლსა და დამნაშავეს შორის, თუმცა ამ ჩარევის ზემოქმედებას შეიგრძნობს მხოლოდ დამნაშავე, ის დაისჯება, ხოლო მისი მსხვერპლი დარჩება შესაბამისი ყურადღების გარეშე, რადგანაც კრიმინალური თეორიის კონტექსტში, მსხვერპლზე ხორციელდება მხოლოდ პრევენციული საშუალებები, რომლებიც მიმართულია შემდგომი დანაშაულების აღმოსაფხვრელად, ამდენად, დიდწილად მიმართულია მომავალ მსხვერპლებზე, და არა უკვე არსებულზე. დამნაშავესა და მსხვერპლის შერიგების პროცედურა მიმართულია სწორედ მსხვერპლის დასახმარებლად, აგრეთვე აბალანსებს სამართალდამრღვევის სასჯელს, იმისდა მიხედვით თუ როგორი იქნება მისი შემდგომი დამოკიდებულება მსხვერპლთან მიმართებაში. ეს არ შეიძლება გაკეთდეს

---

<sup>65</sup> German criminal code, 13 November, 1998, Section 46a.

ჩვეულებრივ სისხლის სამართლის პროცესში, რადგან აქ სახელმწიფო ახორციელებს დამსჯელის ფუნქციას.<sup>66</sup>

დაზარალებული შერიგების პროცედურაში (სასამართლოსგან განსხვავებით, სადაც იგი ძირითადად მონაწილეობას იღებს მხოლოდ როგორც მოწმე, რომელიც დეტალებში ყვება მომხდარს) აღიქმება მისი ემოციური მდომარეობისა და მატერიალური მოთხოვნების გათვალისწინებით. დამნაშავესა და მსხვერპლს შორის შერიგება დაფუძნებულია ზარალის სამოქალაქო კომპენსაციის იდეაზე, რადგანაც მსხვერპლზე მიყენებული ზიანის ანაზღაურება შესაძლებელია მხოლოდ მატერიალური ფორმით.<sup>67</sup>

### §3. აღდგენითი მართლმსაჯულება საფრანგეთში

საფრანგეთის სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 41-ე მუხლის თანახმად, თუ რესპუბლიკის პროკურორი მიიჩნევს, რომ სისხლისსამართლებრივი მედიაცია უზრუნველყოფს დაზარალებულისათვის ზიანის ანაზღაურებას, დასრულდება დანაშაულებრივი ქმედების შედეგად წარმოშობილი კონფლიქტი; თუ ამ ზომის გამოყენება ხელს შეუწყობს დანაშაულის ჩამდენი პირის გამოსწორებას, მაშინ მას უფლება აქვს საჯარო სარჩელის აღძვრის შესახებ გადაწყვეტილების გამოტანამდე:

1. განახორციელოს „შეხსენება“ ქმედების ჩამდენი პირის მიმართ მისი მოვალეობების შესახებ, რომლებიც კანონს ემყარება;

---

<sup>66</sup> У.Б. Филатова, А.С. Архипкина, С.Ю. Некрасов, И.В. Архипкин, ПРАВОВОЙ ОПЫТ ПРОТИВОДЕЙСТВИЯ ПРЕСТУПНОСТИ В ЗАРУБЕЖНОЙ И НАЦИОНАЛЬНОЙ СИСТЕМАХ ПРАВА .

<sup>67</sup> У.Б. Филатова, А.С. Архипкина, С.Ю. Некрасов, И.В. Архипкин, ПРАВОВОЙ ОПЫТ ПРОТИВОДЕЙСТВИЯ ПРЕСТУПНОСТИ В ЗАРУБЕЖНОЙ И НАЦИОНАЛЬНОЙ СИСТЕМАХ ПРАВА .

2. გადაავაზნოს ეს პირი სანიტარული, სოციალურ ან პროფესიულ სტრუქტურაში;
3. შესთავაზოს პირს, რომ მან მოაწესრიგოს თავისი სამართლებრივი მდგომარეობა კანონთან ან კანონქვემდებარე აქტთან მიმართებაში;
4. შესთავაზოს პირს, რომ მან აანაზღაუროს მისი ქმედებით გამოწვეული მიზანი (ფულადი თანხის გადახადა დაზარალებულისთვის ან ნებისმიერი იურიდიული ან ფიზიკური პირის სასარგებლოდ, რომელსაც უნდა გაეღო თანხები დაზიანებული შენობის ან ნივთის აღსადგენად; შენობის ან დაზიანებული ნივთის აღდგენა);
5. მხარეთა თანხმობით აწარმოოს მედიაციის პროცედურა ქმედების ჩამდენ პირსა და დაზარალებულს შორის.<sup>68</sup>

1999 წლის 23 ივნისის კანონი არ ზღუდავს 41-1-ე მუხლის გამოყენებას სისხლის სამართლის საქმეთა მხოლოდ კონკრეტულ კატეგორიაზე. პროკურორის ნებისმიერი წინადადება მკაცრად ნებაყოფლობით საკითხს ატარებს. იმ შემთხვევაში, როდესაც პირი უარს ამბობს მის შესრულებაზე, პროკურორი იღებს გადაწყვეტილებას საჯარო სარჩელის საერთო საწყისებზე აღზვრის შესახებ.<sup>69</sup>

#### **§4. აღდგენითი მართლმსაჯულება დიდ ბრიტანეთში**

<sup>68</sup> საფრანგეთის სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი, მუხლი 41-1-ე.

<sup>69</sup> კ.ფ. გუცენკო. ლ.ვ. გოლოვსკო, ბ.ა. ფილიმონოვი. „დასავლეთის სახელმწიფოთა სისხლის სამართლის პროცესი“, გამომცემლობა „მერიდიანი“, თბილისი. 2007, გვ 414.

დიდ ბრიტანეთში ერსებობს ორი სახის მედიაცია: სასამართლო მედიაცია და პოლიციური მედიაცია. სასამართლო მედიაცია გამოიყენება ყველა სახი დანაშაულის მიმართ, საქმეში ჩართულია პრობაციის სამსახური, რომლის წარმომადგენელი ცდილობს გამოვიდეს შუამავლად დამნაშავესა და დაზარალებულს შორის. სასამართლო მედიაციის გამოყენების საკითი გადაწყვეტილი უნდა იყოს სასამართლოს გამართვამდე, სასამართლომ წინასწარ უნდა იცოდეს არსებობს თუ არა შესაბამისი პირობები სასამართლო მედიაციის გამოყენებისას. მედიაციის წარმატებით დასრულებას მოსამართლე იღებს მხედველობაში სასჯლის დანიშვნის დორს. სასამართლო მედიაცია არ არის სისხლისსამართლებრივი დევნის ალტერნატივა.

დიდ ბრიტანეთი აღდგენითი მართლმსაჯულება სათავეს იღებს 70 - იანი წლების ბოლოსა და 80 - იანი წლების დასაწყისში, თუმცა მედიაცია ინგლისის ზოგიერთ რეგიონში დღემდე არ არის მოწესრიგებული სამართლის ნორმებით და მხოლოდ სამართალშემფარდებელთა იურისტ-თეორეტიკოსთა და საზოგადოებრივობის ინიციატივას წარმოადგენს, ამიტომ მედიაციის უამრავი ვარიანტი არსებობს, რაც ადგილობრივ თავისებურებებზეა დამოკიდებული. მედიაცია შეიძლება გამოიყენებოდეს სისხლის სამართლის პროცესის სხვადასხვა სტადიაზე. ერთ ერთი კი არის „საპოლიციო მედიაცია“. მისი არსი მდგომარეობს შემდეგში: პოლიცია ვიდრე მიიღებს გადაწყვეტილებას სისხლისსამართლებრივი დევნის აღძვრის შესახებ, საქმეს მედიაციის სამსახურს გადასცემს, რის შემდეგაც ტარდება შერიგების პროცედურე. მედიატორი ვალდებულია რიგრიგობით შეხვდეს დაზარალებულსა და სისხლისსამართლებრივ დევნას დაქვემდებარებულ პირს, კომპრომისის მიღწევის შემთხვევაში გაფორმდება ხელშეკრულება ზიანის ანაზღაურების შესახებ (წერილობითი ბოდიში, ფულადი თანხის გადახდა და ა.შ.). მედიაციის წარმატებულად

განხორციელებისა და შეთანხმების გაფორმების შემთხვევაში, პოლიცია უარს ამბობს სისხლისსამართლებრივ დევნაზე და შემოიფარგლება გაფრთხილებით.<sup>70</sup>

ინგლისში სისხლის სამართალი საპროცესო კანონმდებლობის მიხედვით სისხლის სამართლებრივ დევნაზე უარი, რომელსაც თან არ სდევს რაიმე პირობები დასაშვებია სამ შემთხვევაში:

1. როდესაც სისხლისსამართლებრივი დევნა იურიდიულად შეუძლებელია (ქმედებაში არ არსებობს დანაშაულის შემადგენლობა, პირს არ მიუღწევია სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის ასაკისთვის, გასულია სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობაში მიცემის ხანდაზმულობის ვადა და ა.შ).
2. როდესაც სისხლისსამართლებრივი დევნა ფაქტობრივად შეუძლებელია (დანაშაული ვერ გაიხსნა ან პოლიციამ ვერ შეძლო მის ჩადენაში დამნაშავე კონკრეტული პირის მამხილებელი საკმარისი მტკიცებულებების შეკრება)
3. პოლიციამ გახსნა დანაშაული და დაადგინა პირი, ვის მიმართაც უნდა განხორციელდეს სისხლისსამართლებრივი დევნა, მაგრამ მიზანშეწოლილად არ მიიჩნევს მის სისხლისსამართლებრივ პასუხისმგებაში მიცემას.

ბოლო შემთხვევაში პოლიცია უბრალოდ არ გადასცემს საქმეს სასამართლოს ან გვირგვინოსან საბრალდებო სამსახურს. სისხლისსამართლებრივ დევნაზე უარის შესახებ გადაწყვეტილებას გამოტანილ ზემოთ მოცემულ ნებისმიერ საფუძველზე, პოლიცია არ აფორმებს რაიმე საპროცესო დოკუმენტით, მაგრამ ეს არ ნიშნავს, რომ ასეთი სახის გადაწყვეტილება შეიძლება თვითნებური იყოს., ის აუცილებლად უნდა

---

<sup>70</sup> კ.ფ. გუცენკო, ლ.ვ. გოლოვსკო, ბ.ა. ფილიმონოვი. „დასავლეთის სახელმწიფოთა სისხლის სამართლის პროცესი“, გამომცემლობა „მერიდიანი“, თბილისი. 2007, გვ 150.

შეესაბამებოდეს გარკვეულ კრიტერიუმებს, ისინი მოცემულია გვირგვინის ბრალმდებელთა კოდექსში და სხვა სხვა დოკუმენტებში, რომელიც სავალდებულოა პოლიციისათვის. პოლიცია გადაწყვეტილება სისხლისსამართლებრივ დევნაზე უარის თქმის შესახებ არ ექვემდებარება რაიმე სახის საპროცესო კონტროლს სასამართლოს ან გვირგვინის საბრალდებო სამსახურის მხრიდან. პოლიცია ფაქტობრივად უკონტროლოა სისხლისსამართლებრივი დევნის მიზანშეწოლილობის თუ არამიზანშეწოლილობის შეფასებისას, მხოლოდ იმ პირობით, რომ დაზარალებულს ან ნებისმიერ დაინტერესებულ პირს უფლება აქვს ასეთ შემთხვევაში თვითონ განახორციელოს სისხლისსამართლებრივი დევნა პოლიციისგან დამოუკიდებლად (პრაქტიკასი ასეთი შემთხვევები იშვიათია). თუმცა, რეალურად, პოლიციის გადაწყვეტილებას სისხლისსამართლებრივ დევნაზე უარის შესახებ სისხლის სამართლის ბედისთვის განმსაზღვრელი მნიშვნელობა არ აქვს.<sup>71</sup>

## დასკვნა

სამაგისტრო ნაშრომში შევეცადე დეტალურად გადმომეცა საკითხები, რომლებიც ეხება ალდგენით მართლმსაჯულებას და მის გავლენას დამნაშავეს რესოციალიზაცია და რეაბილიტაციაზე. ამ მიზნით მოხდა სამეცნიერო ლიტერატურის, სამართლებრივი აქტების, სტატისტიკისა და ისტორიული წყაროების მოძიება და განხილვა. ლიტერატურის გაცნობით მივიღეთ მეტად მნიშვნელოვანი ინფორმაცია ალდგენითი მართლმსაჯულების ჭრილში განხილული განრიდება/განრიდებასა და მედიაციის პროგრამებთან დაკავშირებით, რამაც საშუალება მოგვცა გვესჯელა თუ

---

<sup>71</sup> კ.ფ. გუცენკო, ლ.ვ. გოლოვსკო, ბ.ა. ფილიმონოვი. „დასავლეთის სახელმწიფოთა სისხლის სამართლის პროცესი“, გამომცემლობა „მერიდიანი“, თბილისი. 2007, გვ 147.

რამდენად ამართლებს საქართველოში აღდგენთი მართლმსაჯულების ინსტიტუტი და აქვს თუ არა მომავალში განვითარების პერსპექტივა.

განრიდება და მედიაცია არის სისხლისსამართლებრივი დევნის ალტერნატიული მექანიზმი, რომელსაც გააჩნია ბევრი დადებითი მხარე. იგი თავის თავში მოიცავს, როგორც პირის სისხლისსამართლებრივი დევნისგან განტავისუფლებას, ასევე მის რესოციალიზაციასა და რეაბილოტაციას, რაც ხელს უწყობს დამნაშავეს „გამოსწორებას“, დანასაულის გააზრებას და რეციდივის თავიდან აცილებას. ხოლო მედიაცია არის მოლაპარაკება დამნაშავესა და დაზარალებულს შორის, პრობლემების განხილვა და ერთ აზრზე შეჯერება, რომელსაც „შერიგება“ ქვია. მედიაცია ხელს უწყობს ორივე მხარის ინტერესების დაცვას, არასრულწლოვანი სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობისა და ციხი კედლებში გატარებული წლების ნაცვლად - აღიარებს დანაშაულს და იხდის ბოდიშს, ხოლო დაზარალებულს საშუალება ეძლევა აინაზღაუროს დანაშაულებრივი ქმედების შედეგად მიყენებული ზიანი, აქედან გამომდინარე გამოგვაქვს დასკვა, რომ განრიდება და მედიაცია მომგებიანია ორივე მხარისთვის, როგორც დამნაშავესთვის, ასევე დაზარალებულისათვის.

სამაგისტრო ნაშრომში განხილულია პრობლემა, რომელიც ეხება სრულწლოვნის მედიაციას სისხლის სამართალში. სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის მიხედვით, მედიაცია გამოიყენება მხოლოდ კანონთან კონფლიქტში მყოფ არასრულწლოვანი (14 – დან 18 წლამდე) პირების მიმართ, მაგრამ სრულწლოვანი პირის მედიაციის შესახებ სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობაში არაფერია ნათქვამი, მაშინ როდესაც ეს ინსტიტური გამოსავალია, რომელიც ყველა მხარეს „მოგებულს“ ტოვებს, იგებს ბრალდებული-რომელიც „ციხის კედლების“ მიღმა, თავისუფლებაზე მყოფი ასრულებს მასზე დაკისრებულ ვალდებულებებს,


იგებს დაზარალებული - რომელიც გამოძიებისა და სასამართლო განხილვის ხანგრძლივი და სტრესული პროცედურების გარეშე ინაზღაურებს მიყენებულ ზიანს და იგებს სახელმწიფო, რომელიც თავიდან ირიდებს სისხლის სამართლის პროცესთან დაკავშირებულ მატერიალურ ხარჯებს, ადამიანურ რესურს მიმართავს მძიმე საქმეების გამოძიებისკენ, აძლევს გადატვირთულ სასამართლო სისტემას მართლმსაჯულების სწრაფად განხორციელების საშუალებას, არიდებს რა თავიდან ნაკლებად მძიმე დანაშაულების განხილვისა და გადაწყვეტის ტვირთს და ამდენად კმაყოფილი და მადლიერია პროცესში ჩართული ყველა მხარე.

ამრიგად, ჩემი რეკომენდაცია იქნება, აღნიშნული პრობლემების როგორც საკანონმდებლო, ასევე პრაქტიკულ დონეზე გადასაჭრელად აღდგენითი მართლმსაჯულების გაფართოება სისხლისსამართლებრივი მედიაციის სახით, რომელიც გავრცელდება როგორც არასრულწლოვან, ასევე სრულწლოვან პირებზე. შესაძლებელია დაკვირვების მიზნით თავდაპირველად განხილული იქნეს მედიაცია სისხლის სამართალში, როგორც საპილოტე პროგრამა, რომელიც გავრცელდება იმ სრულწლოვან პირებზე, რომლებმაც ჩაიდინეს ნაკლებად მძიმე კატეგორიის დანაშაული.




### განრიდების პროგრამასთან დაკავშირებული სტატისტიკური მონაცემები წლებისა და კატეგორიის მიხედვით

■ 14დან 18 წლამდე ■ 18დან 21 წლამდე



დანართი N2



## გამოყენებული ლიტერატურა

1. საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის კომენტარები, 2015 წლის 1 ოქტომბრის მდგომარეობით, ავტორთა კოლექტივი, თბილისი, 2015წ;
2. ლ. ჭანტურია, სისხლის სამართლის აქტუალური საკითხები, ი. ჯავახიშვილის სახ. თბილისის სახემწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტი, თბილისი 2017;
3. ჰ. ზეჰრი, აღდგენითი მართლმსაჯულების პატარა წიგნი, 2002წ;
4. ი. ერცენი, აღდგენითი მართლმსაჯულების სახელმძღვანელო, 2020წ;
5. მ.შალიკაშვილი, არასრულწლოვანთა განრიდების და მედიაციის სისხლისსამართლებრივი, კრიმინოლოგიური და ფსიქოლოგიური ასპექტი, თბილისი, 2013;
6. კ.ფ გუცენკო, ლ.ვ. გოლოვსკო. ბ. ა. ფილიმონოვი, დასავლეთის სახელმწიფოთა სისხლის სამართლის პროცესი, გამომცემლობა „მერიდიანი“, თბილისი. 2007;
7. არასრულწლოვანთა მართლმსაჯულება, ანგარიში მომზადებულია საქართველოს გენერალური პროკურატურის მიერ, 2020წ;
8. მ.ქუთათელაძე, სადისერტაციო ნაშრომი, განრიდება და მედიაცია სისხლის სამართალში, თბილისი, 2017;
9. ს. ტყემალაძე,“ მედიაცია საქართველოში: ტრადიციიდან თანამედროვეობამდე“ , თბილისი, 2011
10. ს. ონიანი, „მედიაცია - მრავალსაუკუნოვანი ქართული ტრადიცია“.
11. ნინო გვენეტაძე, ევა გოცირიძე, ვახტანგ თორდია; მოსამართლეთა საქმიანობის შეფასების, სასამართლო მედიაციისა და არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების საკითხებზე მემორანდუმის ხელმომწერი ქვეყნების მოსამართლეთა ასოციაციების საერთაშორისო კონფერენციის მასალები/ 2017
12. ალექსანდრე წულაძე; სასამართლო მედიაციის კონცეპტუალური ხედვა/ ჟურნალი სამართალი 2016 წ N1
13. У.Б. Филатова, А.С. Архипкина, С.Ю. Некрасов, И.В. Архипкин, ПРАВОВОЙ ОПЫТ ПРОТИВОДЕЙСТВИЯ ПРЕСТУПНОСТИ В ЗАРУБЕЖНОЙ И НАЦИОНАЛЬНОЙ СИСТЕМАХ ПРАВА
14. Энциклопедия гуманитарных наук N4, 2005;
15. Priscilla Alderson “Health and children’s rights” Handbook of Children's Rights: Global and Multidisciplinary Perspectives ;London & New York

16. Pepinsky H. Quinney R. /Criminology as Peacemaking – Bloomington : Indiana University Press, 1991.
17. Павел Головненков;Наталья Спица /Уголовно-процессуальный кодекс Федеративной Республики Германия Научно-практический комментарий и перевод текста закона; изд Потсдамский универс. 2012

### სამართლებრივი აქტები

1. არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსი, 12.06.2015;
2. საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი 09.10.2009;
3. საქართველოს სამოქალაქო კოდექსი 26.06.1997;
4. საქართველოს სასჯელაღსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების საკითხთა მინისტრის 2011 წლის 22 თებერვლის ბრძანება N29, განრიდების ან/და განრიდებისა და მედიაციის შესახებ ხელშეკრულების მომზადება-შესრულების პროცესში მუშაკის როლისა და საქმიანობის წესის დამტკიცების თაობაზე;
5. საქართველოს იუსტიციის მინისტრის ბრძანება N216 განრიდება და მედიაციის შესახებ პროკურორისთვის სახელმძღვანელო მითითებებისა და მხარეებს შორის გასაფორმებელი ხელშეკრულების ძირითადი პირობების დამტკიცების თაობაზე.
6. საქართველოს იუსტიციის მინისტრის 2016 წლის 01 თებერვლის ბრძანება N120, დანართი;
7. German criminal code, 13 November, 1998;
8. საფრანგეთის სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი;

### ინტერნეტ წყაროები

1. Sulamanidze, R. (2019, August 13th). *The Meaning of Rehabilitation-Resocialization and its Regulation Based on National and International Standards*. <https://www.penalreform.org/blog/the-meaning-of-rehabilitation-resocialization-and-its-regulation/> (23.04.2021)
2. Mediation in the criminal procedure of the United States. მოპოვებულია [http://www.jurvestnik.psu.ru/index.php/en/vypusk-2162012/19-2010-12-01-13-31-58/-2-16-2012/462-vasilenko-as-mediacziya-v-ugolovnom-procresse-ssha?fbclid=IwAR1buJxl6rT\\_zq5pVDGnJfQZhJyT4U7W-J6oe1AKVUqrk9ghKObhJTKyILo](http://www.jurvestnik.psu.ru/index.php/en/vypusk-2162012/19-2010-12-01-13-31-58/-2-16-2012/462-vasilenko-as-mediacziya-v-ugolovnom-procresse-ssha?fbclid=IwAR1buJxl6rT_zq5pVDGnJfQZhJyT4U7W-J6oe1AKVUqrk9ghKObhJTKyILo) (09.06.2021)
3. History of Restorative Justice. მოპოვებულია <https://www.rjpsc.ca/history-of-restorative-justice.html> (18.05.2021)
4. Ganrideba.ge მოძიებულია  
<http://www.ganrideba.ge/res/files/52/Diversion%20Report%202020.pdf> (14.06.2021წ; 00:06 სთ.)
5. History of Restorative Justice, მოპოვებულია <https://www.rjpsc.ca/history-of-restorative-justice.html> (01.02.2021; 16:45)
6. ლექსიკონი - ცნობარი სოციალური მეცნიერებაში <http://dictionary.css.ge/>. (07.06.2021; 16:00 სთ.)
7. The Role of the Victim in the Criminal Process: A Literature Review - 1989 to 1999 [https://www.justice.gc.ca/eng/rp-pr/cj-jp/victim/rr03\\_vic1/p6.html](https://www.justice.gc.ca/eng/rp-pr/cj-jp/victim/rr03_vic1/p6.html)
8. Сергей Николаевич Мельников Жертве это нужно не меньше, чем преступнику <https://www.miloserdie.ru/article/zhertve-eto-nuzhno-ne-menshe-chem-prestupniku/>